

ძველი და ახალი ქართული მწერლობა

კორნელი კეკელიძე

ბალავარის რომანდ ქრისტიანულ მწერლობაში*

წინასიტყვაობა

მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულიდან იწყება მეცნიერული მუშაობა „ვარლაამისა და იოასაფის ისტორიის“ ან, ქართული სახელწოდებით, „ბალავარიანის“ შესწავლის ხაზით. ამ ხნის განმავლობაში არა ერთსა და ორ გამოჩენილ მეცნიერს სხვადასხვა ქვეყანაში მოუკიდია ხელი ამ საქმისათვის, მაგრამ უკანასკნელი სიტყვა ჯერაც არ თქმულა, პირიქით, რაც დრო გადის, საკითხი უფრო მეტ ბურუსში ეხვევა. ამის მიზეზია: 1. გაუთვალისწინებლობა იმისა, რომ ბალავარიანის საკითხი პრობლემათა მთელ კომპლექსს წარმოადგენს; 2. დაწყება მუშაობისა საკითხის კენწეროდან, რომანის უკანასკნელი, ბერძნული რედაქციიდან და მისი ფესვების უგულებელყოფა; 3. შემოფარგლვა კვლევა-ძიებისა უმეტეს ნაწილად ბიზანტიური კულტურულ-ლიტერატურული არე-თი და ბერძნული მასალებით; 4. ბურჟუაზიული მეცნიერების ეროვნული ქედ-მადლობა, რომელიც იმაში იჩენს თავს, თითქოს პატარა ერებს არც უნარი ჰქონ-დათ და არც მომზადება იმისათვის, რომ მონაწილეობა მიეღოთ რომანის ჩამო-ყალიბების საქმეში; 5. დავიწყება იმისა, რომ ამ რომანის შესწავლა შეუძლებე-ლია გარეშე გამოწველილვითი შედარებისა არაბული, ქართული და ბერძნული რედაქციებისა (სხვა რედაქცია არც არსებობს შესადარებლად).

ამ გარემოებას ყოველთვის და ყოველგან არ იღებენ მხედველობაში, ამო-ტომ მუშაობაც ვერ იღებს ჯეროვან მიმართულებას. საკმარისია მოვიგონოთ, რომ, თუ XVI საუკუნის გასულს Billius-ი მის მიერ გამოცემულ ბერძნულ რომანს მერვე საუკუნის მწერალს იოანე დამასკელს მიაწერდა, XIX საუკუნის ბიზანტოლოგი ზოტენბერგი მზად იყო, ზოგიერთ მომენტს რომ არ შეე-შალა ხელი, მის ავტორად მიეჩნია მეშვიდე საუკუნის მწერალი იოანე მოსხი. მიუხედავად ამისა, ის მაინც მეშვიდე საუკუნეში დატოვა და ვილაც უცნობი იოანე საბაწმიდელის კუთვნილებად გამოიცხადა. მან ანგარიში არ გაუწია იმას,

* წინამდებარე ჩვენი ნარკვევი დაწერილია 1956 წლის ზაფხულზე. მოხსენდა რუსთაფ-ლის საბელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში ძველი ქართული მწერლობის განყოფილებას. ამით აიხსნება, რომ ტექსტი B რედაქციისა ციტირებულია არა ბეჭდური გამო-ცემით, რომელიც მერე გამოვიდა, არამედ ხელნაწერიდან. ამითვე აიხსნება, რომ ჩვენ არ გამო-გვთქვნივითა შემდეგ გამოხსული სამეცნიერო ლიტერატურა.

რომ მეშვიდე საუკუნის ნაწარმოებში ვერ იქნებოდა ციტატები ვერც იოანე დამასკელის თხზულებებიდან, მით უმეტეს ვერც ეკატერინე მოწამის მეტაფრასული მარტვილობიდან. მეოცე საუკუნეში, P. Peeters-მა, აკად. ვ. როზენის წინასწარი ვარაუდის ნიადაგზე რომანი ქართული წყაროდან გამოიყვანა, ის მან ექვთიმე ათონელის ნაწარმოებად მიიჩნია, ხოლო F. Dölger-მა კვლავ უყოყმანოდ (zweifelloso) იოანე დამასკელს დაუბრუნა¹. F. Dölger-ი კარგი მცოდნე ჩანს იოანე დამასკელის თხზულებებისა, მაგრამ მისი დასკვნა არამც თუ zweifelloso-ი არაა, პირდაპირ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს; ის დიდი რიხით ლაპარაკობს ძველი ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ისტორიის შესახებ, აგრეთვე XI საუკუნის გამოჩენილ ქართველ მწერლებზე. სინამდვილეში კი ძალიან ღარიბი და ამავე დროს ყალბი წარმოდგენა აქვს ყველაფერ ამაზე. გამეორება დღეს იმისა, რასაც გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ზოტენბერგი ძველი ქართული კულტურის შესახებ ლაპარაკობდა, სერიოზულ მეცნიერს არ ეპატივება (ეს მაშინაც არ ეპატივებოდა არავის)².

საკითხის ასეთი მდგომარეობა დაეინებით თხოულობს, რომ კვლევა-ძიება გაგრძელებულ იქნეს მის გარშემო. ეს მით უფრო საჭირო და აუცილებელია დღეს, როდესაც აღმოჩნდა ახალი ქართული რედაქცია რომანისა, რომელიც ყველაფერი იმის, რაც ამდენხანს ამ რომანის შესახებ დაწერილა, გადასინჯვას მოითხოვს.

I

ქრისტიანული რომანის სიძველე აკოზოთიკი

ბუდიზმის დიმაარსებლის ბუდას შესახებ ძველიდანვე შექმნილა უამრავი ლეგენდა და თქმულება. ეს ლეგენდები სათუძვლად დადებია ქრისტიანული ლიტერატურის ერთ შესანიშნავ ნაწარმოებს, რომელსაც კარგად იცნობენ როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ამ ნაწარმოებს ქართულად „ბალაგარიანი“ ეწოდება. იმისდა მიხედვით, თუ რანაირ სოციალურსა და რელიგიურ-კულტურულ გარემოში ზედებოდა ეს ნაწარმოები, ის ასეთს თუ ისეთს სახეს ღებულობდა ხოლმე.

მეცნიერებაში მიღებულია შეხედულება, რომ ინდოეთში სანსკრიტულ ენაზე ჩაწერილი ლეგენდები ბუდას შესახებ (ფიქტიური მათე საუკუნეში ამბობს, რომ ინდოეთში არსებობდა სამი ლეგენდური ისტორია ბუდასიო) გადასულა სასანიანთ ირანში, სადაც მეექვსე საუკუნეში მომხდარა მათი ლი-

¹ Der griechische Barlaam-Roman ein Werk des h. Iohannes von Damaskos, 1953 Ettl (Studia patristica et byzantina I).

² გასული საუკუნის ბოლოდან ძალიან გაცხოველდა „ბალაგარიანის“ გარშემო კვლევა-ძიება იმის ზედიზედ შეუწყო საკვლევარებო რეალში ქართული მასალის შეტანამ. ეს უკანასკნელი გარემოება საეკლესიო გახდა იმით, რომ მკვლევართა ერთმა ნაწილმა, რომელიც ამ საქმეს ხელს პიძებს, ძველი ქართული ენა ან სულ არ იცის, ან ძალიან სუსტად. მეორე მხრით, კვლევა-ძიების საქმეში ამ მიმართულებით ვაბატონდა იმდენად არა წმინდა მეცნიერული მოსაზრებანი, რამდენადაც სხვა რამე. პრობლემის გადაწყვეტას ლაშობენ იმდენად არა ტექსტების შედარებითა და შესწავლით, რამდენადაც მათ სათაურში შეტანილი მინაწერებით, რომელთა არასწორი ჩვენებით ნაწარმოების ავტორად აღიარებულა, უმეტეს შემთხვევაში, ვიღაც იოანე საბაწმიდელი. ამ იოანე საბაწმიდელის შესახებ არაფერ იცის—ისტორიული პიროვნებაა ის თუ მოგონილი, თუ ისტორიულია, ვინ იყო, როდის ცხოვრობდა, რა გააკეთა. ასეთი მონაცემებით ფიქრობენ ჩთული პრობლემის გარკვევას.

ტერატურული დამუშავება ფალაურ ენაზე. დახლოვებით ამავე დროს ფალაურ ენაზე დამუშავებული მოთხრობა გადასულა სირიულ ლიტერატურაში. არაბთა მიერ ირანის დაპყრობის შემდეგ, ბერვე საუკუნის მეორე ნახევარში, აბასიდების დროს, ფალაური დედანი უთარგმნიათ თუ გადაუცეთებიათ არაბულ ენაზე¹.

სამწუხაროდ, ჩვენამდე არ შენახულა არც ფალაური, არც სირიული რედაქცია ამ წარმოებისა. ბეცნიერების განკარგულებაშია დღეს არაბული რედაქცია² და ქრისტიანული გადამუშავება მოთხრობისა: ქართული³ და ბერძნული⁴.

ჩვენ ამთავად გვაინტერესებს ქრისტიანული რედაქცია რომანისა: როდის და რომელ ენაზე დამუშავდა თავდაპირველად ეს რედაქცია და როგორ მიიღო მან ის სახე. რომელიც მას აქვს დღეს-დღეობით ცნობილს ბერძნულ რედაქციაში? ეს საკითხი ძალზე ბუნდოვანია, ის ჟერაც სადისკუსიოა ბეცნიერებაში, მის გარშემო არა ერთი და ორი პიპოთეზი ყოფილა წამოყენებული. ზოგი ფიქრობს, რომ თავდაპირველად ის გაჩნდა ფალაურ ენაზე, ზოგი—სირიულზე, ზოგი—ბერძნულზეო.

ჩვენ არ შევეუდგებით ამ პიპოთეზების მიმოხილვას, რადგანაც, ერთი მხრით, ისინი კარგად არიან ცნობილნი, მეორე მხრით—დადებითსა და ხელმოსაყიდს ბერძნულ არაფერს იძლევიან. ჩვენ გვინდა ჩვენი მოსაზრება წარმოვადგინოთ ამის შესახებ, შეძლებისგვარად ყოველგვარი პოლემიკის გარეშე.

ქართულ რედაქციას შემოუნახავს ერთი დეტალი, რომელსაც შეუძლია სახელმძღვანელო ძაფი მოგვცეს იმის გასარკვევად, თუ როდის და რომელ ენაზე

¹ Ахат. И. Крачковский, *Восстание о Барлааме и Иоасафе*, гл. 8—9, 19.

² F. Hommel, *Die Älteste arabische Barlaam-Version*, Wien, 1887. აგრეთვე ი. კრაჩკოვსკი, იქვე.

³ ამისი რუსული თარგმანი, ავტ. ე. როზენის მიერ შესრულებული, გამოცემი ი. კრაჩკოვსკის მიერ. *Восстание о Барлааме и Иоасафе*. ეს არაბული რედაქცია ჩვენი აზრით, წინააღმდეგ ი. კრაჩკოვსკის მოსაზრებასა, არის შესულმანური ი. კრაჩკოვსკის შეხედულებით, სპეციფიკური შესულმანური ტერმინები და გამოთქმები ამ რედაქციისა გადმოტანილია ტექსტში ხელნაწერების ანოთებიდან შემდეგში, ანდა დამატებულია გადამწერის მიერ (გვ. 14—15). მაგრამ იმაში გველია თურმე ჩვენ პირდაპირ ყურანიდან ამოღებული და არა ამ გზით წარმოშობილი გამოთქმა (გვ. 61). ასეთი წარმოშობის არის, მისი აზრით, შესულმანური სიმბოლოს სიტყვები: „სამოთხე და ჭოჭოხეთი“ (გვ. 73, *орух* 2). მაგრამ რა უყოთ მაშინ მთელ აბზაცს სამოთხისა და ჭოჭოხეთის შესახებ, რომელიც ორგანულადაა ჩართული მოთხრობაში და დამატებული ან ჩანართის ნიშნად არ აღარებს (გვ. 83)? ამ მოსაზრებით, არაბული რედაქცია ჩვენ მიგვაჩნია შესულმანურ რედაქციად.

⁴ ქართული (A) რედაქცია სრულად თარგმნილია გამოცემით 1895 წ. (ი. თაყაიშვილის მიერ) და 1937 წ. (ი. აბულაძის მიერ). ესარგებლობთ უკანასკნელი გამოცემით. არსებობს რუსული თარგმანი ამ რედაქციისა ი. ჭავჭავაძის მიერ შესრულებული (*Варлаам и Иоасафа, прпавславнаго Иоанна Лаврентия, Олесса, 1888*). Boissonade-ს მიერ გამოცემული რედაქცია უთარგმნიათ ძველად სლავურ ენაზე, ეს თარგმანი დაბეჭდილია მოსკოვში 1681 წ. საზღვარგარეთული გამოცემიდან უნდა აღინიშნოს აგრეთვე გამოცემა C. R. Woodward and H. Malttingly-სა, 1914.

⁵ Boissonade. *Anecdota graeca*. IV, გამოცემულია Migne-ს მიერ, PG, tom. 96, col. 859—1240 (ესარგებლობთ ამ გამოცემით). არსებობს სხვა გამოცემაც ამ ტექსტისა, ის გამოვიდა კ. ათინაში სოფრონითის რედაქციით 1885 წ. ეს უკანასკნელი უთარგმნია რუსულად და გამოცემა მ. ანტონის *Святаго о житии святаго отца нашего Варлаама и Иоасафа, прпавславнаго Иоанна Лаврентия, Олесса, 1888*. Boissonade-ს მიერ გამოცემული რედაქცია უთარგმნიათ ძველად სლავურ ენაზე, ეს თარგმანი დაბეჭდილია მოსკოვში 1681 წ. საზღვარგარეთული გამოცემიდან უნდა აღინიშნოს აგრეთვე გამოცემა C. R. Woodward and H. Malttingly-სა, 1914.

გაჩნდა პირველი ქრისტიანული რედაქცია ამ რომანისა. A რედაქციაში ჩვენ ვკითხულობთ: „ზ. მეუფეო, ვინაითგან მამანი ჩუენნი ღმრთისმსახურნი იყვნეს, და შენ რად დაუტყვე სჯული მამათა შენთაჲ? (გვ. 58. ი. აბულაძის გამოც.). მეორე ადგილას აქვე ნათქვამია, რომ აბენესმა შეკრიბა თავისი ერისთავები და უთხრა მათ: „ჩუენ ყოველნი ვიყენეთ წესსა ზედა ჩუენსა და სჯულსა, რომელსა ზედა ვდგათ და გამოგვრჩევდეს, ხოლო ძესა ამას ჩემსა სწადის, რაათა იყოს წესსა მას ზედა და სჯულსა მამათა ჩუენთასა; ნუ-უმე გუარმანცა მიიზიდა?“ (გვ. 71, შესწორებული სახით). B რედაქციით, აბენესი ეუბნება თავისიანებს: „ჩუენ ყოველნი ვიყვენით სხუასა ზჯულსა და სხუასა წესსა ზედა თჳნიერ ამის ზჯულისა, რომელსა ზედა აწვდგათ, და ყოველნი მამანი ჩუენნი, კეთილად მოსაჴსენებელნი მეფენი და ყოველი ერი სხჳთა ზჯულითა ცხონდებოდეს, ხოლო ჩუენ ესე გამოვირჩიეთ პირველსა მას ზჯულსა ზედა... იწ არაღვერ არს მძლავრებაჲ ჩუენი ყრმისა ამის წინაღდგომისათჳს ჩუენისა, რამეთუ ჩუენცა ესერა წინააღდგომილ ვართ ზჯულსა მამათა ჩუენთასა“ (132 B). ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ ინდოეთში წინათ ჰქონიათ „ღმრთისმსახურებითი“ ზჯული, ესე იგი ქრისტიანი მწერლის ენაზე—ქრისტიანობა, რომელიც მერე მიუტოვებიათ და შემოუღიათ ახალი, აბენესის დროის, ზჯული. იოდასაჲში იღვიძებს მისი „გუარის“ ან წინაპრების ბუნება, რომელიც მიიზიდავს მას, ესე იგი თხოულობს წინაპრების ზჯულზე დაბრუნებას.

თუ ჩვენ გაეითვალისწინებთ ქრისტიანობის ისტორიას ინდოეთში (R a e The syrian Church in India), უნებლიეთ ერთ რამეს მივაქცევთ ყურადღებას. მეოთხე საუკუნეში სირიელებს შეუდგენიათ თომა მოციქულის აქტები, რომელნიც მიზნად ისახავდნენ დაემტკიცებიათ, რომ როგორც სირიაში, ისე ინდოეთში ქრისტიანობა დანერგულია თომა მოციქულის მიერ. ეს გარემოება საკმარის საბუთად მიაჩნდათ იმის დასამტკიცებლად, რომ ინდოეთის ეკლესია, როგორც უმცროსი დაი სირიულისა, ამ უკანასკნელს უნდა ემორჩილებოდეს. ეს შეხედულება მიღებული იყო როგორც მართლმადიდებელ სირიელთა, ისე ნესტორიანთა შორის სელევკია-კტეზიფონის საკათოლიკოზოში. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საკათოლიკოსოდან გამოსული მქადაგებლები ცნობილნი იყვნენ როგორც გამოცდილი მისიონერები, რომელნიც წარმატებით ამყარებდნენ ნესტორიანულ საეკლესიო ორგანიზაციას ინდოეთსა და აღმოსავლეთ სპარსეთში. სელევკიის კათოლიკოსს სირიასა და აღმოსავლეთ სპარსეთში ექვემდებარებოდა თოთხმეტამდე ნესტორიანული მიტროპოლია, რომელთაგან ათში შედიოდნენ სირიელები, ხოლო დანარჩენ ოთხში სპარსელები (მერვის, პერატისა და სამარყანდის) და ინდოელები. ინდოეთის მიტროპოლიას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა აღმოსავლეთის ნესტორიანთა ეკლესიაში¹.

„ბალავარიანის“ ქრისტიანული რედაქციის შექმნა დაკავშირებულია ამ ეკლესიაში შინაგან ძალთა განწყობილებასთან. ისტორიაში წამოიჭრა ერთი მომენტი (არაბეთის ბატონობის განმტკიცებასთან დაკავშირებით), როდესაც ინდოეთის მიტროპოლიამ, რომელსაც ამ შემთხვევაში სპარსული ნაციონალური მიტროპოლიებიც მიემხრნენ, საჭიროდ დაინახა უარეყო სირიელთა შეხედულება, რომელიც ამართლებდა სელევკიის კათოლიკოსატის აღმინისტრაციულ ჩარევას მის საეკლესიო საქმეებში. ასეთმა სეპარატიზტულმა ტენდენციამ განსაკუთრებით თავი იჩინა სელევკიის კათოლიკოსის ი შო ი ა ვ ის დროს (650—660);

¹ Е д п ш д и ш с к и й Я., Святая церковная история, т. II, 1912, гл. 142—145.

სეპარატისტები ამტკიცებდნენ, რომ ი აი ვალდებულნი არ არიან დაემორჩილონ სელეკციის კათოლიკოსს, მათ თავიანთი „დიდი მიტროპოლიტი“ ჰყავდათ. ასე რომ, საკითხი დადგა მეორე კათოლიკოსატის დაარსების შესახებ. მაგრამ თავისი „დიდი მიტროპოლიტის“ ყოლა საქმეს ვერ შველოდა, უნდა გაქარწყლებულიყო მეორე თეორიული საბუთი სირიელების პრეტენზიისა — თომა მოციქულის საქმიანობა ინდოეთში. ამ საკითხისათვის მათ შემოუვლიათ, როგორც რომანის ქართული რედაქცია გვაფიქრებინებს, შემდეგნაირად. მართალია, თომა მოციქულმა ჩვენში დანერგა ქრისტიანობა, მაგრამ მის მიერ დანერგული ქრისტიანობა ეამთა ვითარებაში „დატევებულ“, ესე იგი მივიწყებულ იქნა, ასე რომ ინდოეთში ქრისტიანობის აღსადგენად საჭირო შეიქნა ახალი მქადაგებელი, რომელსაც არავითარი კავშირი სელეკციის კათოლიკოსატთან არ ჰქონია. ამგვარად, ინდოეთის ეკლესია გარკვეული დროიდან ისახებოდა როგორც სრულიად დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომლისადმი არაეის ხელი არ მიუწვდებოდა. იმ დროს სწერდა სეპარატისტებს მამხილებელ წერილებს, მაგრამ ვერას გახდა. მათ თავიანთ მიზანს მიაღწიეს, დროებით მაინც¹.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ დროს უნდა შეეთხზათ, აღნიშნული მიზნით. ინდოეთში ქრისტიანული რედაქცია „ბალავარიანისა“, უნდა შეეთხზათ ის, როგორც პასუხი სირიელთა პრეტენზიაზე. სირიულ ენაზე. ყოველ შემთხვევაში არა ფალაურზე, როგორც ზოგიერთ მკვლევარს ჰჯონია. საქმე ისაა, რომ, აკად. ნ. მარის სიტყვით, ქრისტიანი სპარსელები თავის თავს მუდამ სირიელების მოწაფედა თვლიდნენ და მათ კულტურულ გავლენას განიცდიდნენ. არ არსებობს არავითარი საბუთი იმის სასარგებლოდ. რომ ფალაური ენა გავრცელებული ყოფილიყოს როგორც ქრისტიანული მწერლობის ენა და მას ებატონოს სპარსულ ქრისტიანულ საზოგადოებაში. პირიქით, ქრისტიანული მწერლობის ჩანასახს ფალაურ ენაზე პირველობა სირიული ლიტერატურისათვის უნდა დაეთმო. ის ამ ლიტერატურით იკვებებოდა და არა პირუკუ.²

ქრისტიანული რედაქცია რომანისა გადმოკეთებული უნდა იყოს სირიულზე ბუდას ცხოვრების ფალაური რედაქციიდან, რადგანაც იმ დროს, მეშვიდე საუკუნის ნახევარში, ცნობილი იყო მხოლოდ მისი ფალაური რედაქცია³.

ერთი სიტყვით, პირველი ქრისტიანული რედაქცია „ბალავარიანისა“ დაბუშავებული უნდა იყოს სირიულ ენაზე მეშვიდე საუკუნის ნახევარში ინდოეთის ნესტორიანულ მიტროპოლიაში, ბუდას ცხოვრების ფალაური რედაქციიდან. ამ რედაქციას ჩვენამდე არ მოუღწევია (შეიძლება ჯერ აღმოჩენილი არაა), აღბათ მას შემდეგ. რაც მან თავისი დანიშნულება შეასრულა. მივიწყებას მიეცა და დაიკარგა. ასე რომ „ბალავარიანის“ ისტორიის ძიებაში დღეს იმას არ შეუძლია არსებითი დახმარება გაგვიწიოს. ქრისტიანული გადამუშავება რომანისა დღეს ჩვენ გვაქვს მხოლოდ ქართულსა და ბერძნულ ენებზე⁴.

¹ Проф. В. Б о л о т о в, Из истории церкви Сиро-Персидской. Экскурс Б. Древнейшие митрополии в церкви персидской, „Христианское чтение“, 1899, февраль.

² Агиографические материалы по грузинским рукописям Иверы, ч. II. Записки Восточного Отделения Русского Археологического общества, т. XIII, 1901, гл. 99—100.

³ ეს რომანი რომ სირიულ ენაზეც არსებობდა, ამას იდასტურებს პროფ. ე. პენიგზი, რომელიც, განიხილავს რა რომანის მანიქეურ ვერსიებს, ამბობს: ერთ-ერთ არაბულ ვერსიაში შეცდომით ნათარგმნი აღგილი სირიულ ორიგინალზე მიგვითითებს (D. M. Lang).

⁴ ჩვენ მხედველობაში არ ეოლებთ დღეს ცნობილ ფარავ ქრისტიანულ-არაბულ რედაქცი-

II

ორი ადამიანი გაათულო რომანისა

ქართულ ენაზე ამდენხანს ცნობილი იყო ერთი რედაქცია „ბალაჟარიანისა“, რომელიც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ორჯერაა გამოცემული და რუსულადაცაა ნათარგმნი. რომანის კვლევა-ძიების საქმეში მეცნიერები ამდენხანს ამ რედაქციას ეყრდნობოდნენ. ამიტომ, როგორც უფრო ადრე გამოქვეყნებულსა და გამოყენებულს, მას ჩვენ აღვნიშნავთ A ასოთი. ეს რედაქცია, როგორც უკვე გარკვეულია¹, შეათე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედზე აღზრდილი არ უნდა იყოს. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს რიგი ახალსპარსული სიტყვებისა, რომლებიც თხზულებაში გვხვდება². მეცხოვე საუკუნის ბოლომდე თუ მეათის დამდეგამდე ახალი სპარსული სიტყვები ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში მოსალოდნელი არაა. მეორე საბუთი: სტილით თარგმანი უახლოვდება სერაპიონ 'ხაონშელის' მეტაფრასულ „ცხოვრებას“. რომელიც დაწერილი უნდა იყოს არა უადრეს მეთერთმეტე საუკუნის ნახევრისა³.

სულ უკანასკნელ დროს ჟვარის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა შორის იერუსალიმში აღმოჩნდა ახალი, დღემდე უცნობი რედაქცია „ბალაჟარიანისა“, რომელსაც B ასოთი აღვნიშნავთ. რ. ბ ლ ე ი კ ი ს კატალოგიდან⁴ ამდენხანაც ცნობილი იყო, რომ იერუსალიმში არსებობდა „ბალაჟარიანის“ ქართული რედაქცია, მაგრამ არც ერთ მკვლევარს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ ის არის შედარებით მოგვიანო დროის ხელნაწერში შემონახული უკვე ცნობილი და გამოცემული A რედაქცია ქართული რომანისა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ მოპოვებული მიკროფილმის საშუალებით გამოირკვა, რომ ეს არის დღემდე უცნობი რედაქცია რომანისა.

ხელნაწერი, რომელშიაც ეს რედაქცია შენახულა, გადაწერილია, პალეოგრაფიული ნიშნებით, არა უგვიანეს XI საუკუნის ნახევრისა. იმაში არ გვაქვს ე. წ. კლასიკური ხანის ნორმები ქართული ლიტერატურული ენისა, არცთუ XI საუკუნიდან შემოსული უმ კომპლექსი. ის უნდა ეკუთვნოდეს იმ ხელნაწერთა კატეგორიას, რომელნიც გადაწერილნი და დამზადებულნი არიან ჟვარის მონასტრისათვის მისი მშენებლის, პროხორეს, თუ უშუალოდ მის შემდგომ, დროს. პროხორე მოხსენებულა ხელნაწერის მინაწერში.

თხზულების ქართულ ენაზე გაჩენიდან ამ ხელნაწერის დამზადებამდე საკმაოდ დროს უნდა გაეწლო, ვინაიდან იმაში ჩვენ გვაქვს უამრავი, გადაწერის პროცესში დაშვებული შეცდომა. აი სწიმუშოდ: ერგული (72 ა) ერთგულის მაგიერ, მშა (72 ბ) მაშას მაგიერ, შეაშუს შეაშუნეს მაგიერ, მყრავე (14 ბ) მყერვალის მაგიერ, ანდა—„ესე ემსგავსა მდიდარსა მას, რომელი ეზრახა გლახასა მას“ (52 ა); „ეზრახა“ შეცდომია, უნდა იყოს „ემზახა“.

როგორი ურთიერთობა არსებობს ამ ორ რედაქციას შორის?

მს. რადგანაც, ივანე ბ. კ რ ი მ ე ნ ს ვ ი ს სიტყვით (Повесть о Варлааме и Иоасафе, გვ. 16) ისინი დამოკიდებულნი არიან ბერძნულ რედაქციაზე და საკითხისათვის მნიშვნელობა არ აქვთ.

¹ ბ ე ე ე ლ ი ძ ე ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 477—478.

² იქვე, გვ. 477; Акад. Н. Я. Марр, Армяно-грузинские материалы для истории душепопеловой повести о Варлааме и Иоасафе, ЗБОРАО, т. XI გვ. 58, პრ. 3.

³ К. Кокеладзе, Памятники древнегруз. агнограф. литературы, 1956, 74.

⁴ Catalogue des manuscrite Géorgiens de la Bibliothèque patricale grecque a Jerusalem, № 140.

A რედაქცია არის მოკლე რედაქცია, B კი ვრცელი, გაცილებით ვრცელი (2 1/2-ჯერ მაინც), ვიდრე პირველი. A-ს არა აქვს მომეტებული ნაწილი იმ გრძელი, განუწყვეტელი ტრაქტატებისა ქრისტიანული მორალისა და რელიგიური დოგმატების შესახებ, რომელნიც კარბად არიან მოცემულნი B-ში. ისინი კი, რომელნიც აქაც არიან, მოკლედ და შეკუმშულადაა გადმოცემული. საერთო ნაწილში ისინი სიტყვა-სიტყვით იმეორებენ ერთიმეორეს. შეუძლებელია ჩვენება ასეთი ადგილებისა, ამ შემთხვევაში ჩვენ მოგვიხდება გადმოწერა თხზულების თითქმის ნახევრისა. საერთო ადგილებში არის ისეთები, რომლებშიაც ერთი და იგივე აზრი გამოთქმულია სხვადასხვა სიტყვით ანდა ერთისა და იმავე სიტყვების ადგილგადაცვლით. მსგავსება ამ ორ რედაქციას შორის იქამდე მიდის, რომ ორივეში გვაქვს ერთი და იგივე მოულოდნელი და გაუპართლებელი სიტყვები. მაგალითად: „იგი არს მეგობარი კეთილი. რომელი არა ჳიქამან მოიგოს“ (A81) „შენ უწინარეს ჩემსა იცი ღმერთი და ჰმონებდი მას სულითა უსიტყუელითა“ (გვ. 81), და ჳობნა იცა სიმწარე არს“ (გვ. 59) და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ რიცხვი იგაუგებისა, თანმიმდევრობა მათი და შინაარსი ერთია ორივეში. ქვეყანას, სადაც აბენესი მეფობს. როგორც A-თი, ისე B-თი ეწოდება „შოლაიტ“. ერთი სიტყვით, შედარების შედეგად ირკვევა, რომ ამ ორ რედაქციას შორის გენეტიური კავშირია. ჩვენს წინაშე დგება ასეთი დილემა: ან A რედაქციაა შემოკლება და გადამუშავება B-სი, ან B გავრცობა და გადაკეთება A-სი. ზოგიერთი ფიქრობს, რომ თუ ერთი და იმავე თხზულების ორი ვერსიიდან ერთი მოკლეა, მეორე კი ვრცელი, ვრცელი უეჭველად მოკლედან უნდა გამოდიოდეს. ეს ყოველთვის ასე არ არის, ჩვენი მწერლობის ისტორიიდან ჩვენ საწინააღმდეგო მოვლენასაც ვხვდებით, სახელდობრ—ჯერ ვრცელი და აქედან მოკლე. მაგალითად, აგიოგრაფიაში, რომელსაც ჩვენი რომანიც განეკუთვნება, ე. წ. მოკლე, სვინაქსარული რედაქცია უმეტეს შემთხვევაში ვრცელი რედაქციიდან მომდინარეობს. ასეთია ე. წ. „ეპიტომები“, „აპრაკოსები“ და სხვ. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ A რედაქცია არაა შემოკლება და გადამუშავება, გარკვეული მიზნით, B რედაქციისა. აი ეს საბუთი:

1. ის, რასაც რომანის დასაწყისში, A რედაქციით, აკეთებს ერთი კაცი. ბალავარი, იმას, B რედაქციით, აკეთებს სამი: ორი თანამზრახველი მეფისა და ბალავარი. ეს არის საქმე A რედაქციის ავტორის ჩანაფიქრისა და მეთოდისა—შეამოკლოს და შეკუმშოს მოთხრობა. ეს რომ ასეა. ჩანს ისეთი საკონტროლო მონაცემიდან, როგორიცაა არაბული და ბერძნული რედაქციები. ამ უკანასკნელებში საქმე ისეა წარმოდგენილი, როგორც B-ში.

2. ერთი და იგივე ეპიზოდი, რომელიც ორივე რედაქციის კუთვნილებია, სხვადასხვა ადგილასაა მოთავსებული: ასე, მაგალითად

ა) მეფისძისათვის საგანგებო ქალაქის აშენების ამბავი A-ში მოთხრობილია მას შემდეგ, რაც ბალავარი მეფის კარს განუშორა და უდაბნოში წავიდა (გვ. 10), B-ში კი მას შემდეგ, რაც იოდასაფს უწინასწარმეტყველეს, რომ ის იქნება „ღიღი წინამძღუარი გზასა ქეშმარიტებისასა“ (11a).

ბ) ბაასი ქალაქიდან დაგვიანებით გამოსულ ორ ქრისტიანთან, რომელნიც ამ ბაასის შემდეგ დაწვეს, A-ში მოცემულია მას შემდეგ, რაც მოყვანილი წინასწარმეტყველება წარმოითქვა (4—5 გვ.), B-ში კი მას შემდეგ, რაც სიტყვის-მკერვალის რჩევით ბალავარმა (თანამზრახველმა) თავი დააღწია მახეს, რომელიც მას დაუგეს. ამ ორ აღნიშნულ შემთხვევაში B-ს მხარს უჭერენ არაბული

და ბერძნული რედაქციები, — მაშასადამე, B კი არაა დამოკიდებული A-ზე, არამედ პირუტყუ, A B-ზე.

3. სპილოსაგან დევნილი კაცის იგავში B ლაპარაკობს ოთხი ასპიტის შესახებ, A არა.

4. ერთი წლით დაყენებული მეფის იგავში B ლაპარაკობს მეფის გონიერი შრჩევის შესახებ (38—39), A კი არა.

5. თედმა, მისი რჩევის ჩაშლის შემდეგ, B რედაქციით, მოიქცევა და უდაბნოში წავა, A-თი კი ის ამის შემდეგ აღარა ჩანს.

6. B-ში ლაპარაკია ოთხი ყუთის შესახებ, A-ში კი ორის.

3—6 მაგალითებში B რედაქციას მხარს უჭერს არაბული და ბერძნული რედაქცია, მაშასადამე, ის არ არის დამოკიდებული A-ზე. პირიქით, ჩანს, რომ ნაჩვენები განსხვავებანი არის A რედაქციის ავტორის საქმე.

შეიძლება კიდევ სხვა განსხვავებანიც აღგვენიშნა, რომელნიც მაჩვენებელნი იქნებიან B რედაქციის პრიოროტეტისა, მაგრამ მოტანილიც საკმარისია ამისათვის. უმნიშვნელო არაა ამ მიზნით აღინიშნოს შემდეგი გარემოება: როდესაც ბალავარმა გაიგო მეფის ძის სურვილი, გაქრისტიანდეს, ის წამოვიდა „ადგილთაგან სამშოვროთა და მოვიდა სოფლად... და მივიდა კარად ძისა მეფისასა“ (A). აქ არაა მოსალოდნელი სიტყვა „სოფლად“, ის დამახინჯება უნდა იყოს სიტყვისა „სამეფოდ“, რომელიც მართლაც გვაქვს B-ში (25 ა).

ერთი სიტყვით, როდესაც ამ ორ რედაქციას შინაარსობლივად ვადარებთ ერთმანეთს, ვხედავთ, რომ A რედაქციაში ცოტაა ისეთი, რაც B-ში არ იყოს, სამაგიეროდ B-ში ბევრია ისეთი, რაც A-ში შეგნებულად უნდა იყოს გამოტოვებული თუ გადაკეთებული. ვაჩვენოთ ის რამდენიმე პასაჟი, რაც A-ში არის და B-მ არ იცის. ასეთია:

1. A რედაქციით, აბენესი გაქრისტიანდა და მოინათლა იოდასაფის სამეფოში: „შემდგომად სამისა დღისა უბრძანა იოდასაფ მღდელთა და მღდელთმოდღუართა, რათა ნათელსკენ მეფესა აბენესს და ყოველთა ერთა და ერისთავთა“ (75). B რედაქციით ეს ხდება აბენესის საბრძანებელში: „ხოლო მეფემან და ყოველმან ერმან... შეიწყნარეს წმიდა ნათლისღება სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“ (148 ა). ასეა ეს ბერძნულ რედაქციაშიც. არაბული რედაქციითაც მეფე მართალ სარწმუნოებას იწყნარებს თავის სამეფოში. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს A რედაქციის ავტორის მიერ არასწორ გაგება-გააზრებასთან B რედაქციის ამბისა. საქმე ისაა, რომ A რედაქციაში ნავარაუდევია, რომ, როდესაც აბენესი შვილის სამეფოში მივიდა, ის უკვე მონათლულია. მართლაც, იმ წერილში, რომელშიაც იოდასაფი მამას სწერს მის სტუმრობამდე, ავტორი ამბობს: „ვმადლობ ღმერთსა ჩუენსა, რომელმან... ღირს მყო ხილვად ქეშმარიტისა მეფობისა შენისა, რამეთუ აწცა ღირსიქმენ მეფე. ხოლო პირველ ამისა მონა იყავ ეშმაკთა... აწ აღსარებითა შენითა განათლდა სული და გონება ჩემი, რამეთუ ვიქმენ ძე მეფისა მორწმუნისა, და კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი, რომელმან განანათლნა თუალნი გულისა შენისანი“ (74). ასე რომ, ეს ფაქტიც მაჩვენებელია იმისა, რომ A რედაქცია არის შედეგი B რედაქციაზე მუშაობისა.

2. იოდასაფი, A რედაქციით, ეკითხება ზანდანს: „როდის მოიწევის კაცსა ზედა სიბერე“, ან რამდენხან ცოცხლობს კაციო? პასუხი: „შემდგომად 90 წლისა, გინა ასისაო“, B კი ასეთ პასუხს იძლევა: „შემდგომად 80 წლისა, გინამე უმრავლეს ასისა“ (23 ა). აქ განსხვავებაა ერთ ციფრში: 80 თუ 90? ეს გადამწყვეტი უბ-

რადლო, მექანიკური შეცდომა უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ B რედაქციის 80 გამეორებულია ბერძნულშიც.

3. მტრებმა ბალავარს დაუგეს, A-თი, მეორე მახე: მას გულზე ჯვარი ჰკიდო-
აო, ეს გასინჯვის შემდეგ დადასტურდა კიდეც (8—9 გვ.). ამას რედაქციული
თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა არ აქვს; მოთხრობის უფრო მეტად გაჭრის-
ტიანების მიზნით, რედაქტორს ეს ეპიზოდი თვითონ დაუმატებია. აგიოგრაფი-
ულ ლიტერატურაში ცნობილია ისეთი ფაქტები, როდესაც ამა თუ იმ პირის
ქრისტიანობას გულზე დაკიდებული ჯვრით იგებენ (მოვიგონოთ ჩვენი მეფე
გიორგი XI).

4. ბალავარი ეუბნება მეფის ძეს, რომ ქრისტიანების საუნჯენი არის იქ, „სა-
და არცა მპარავი განიპარავს და არცა მლილი განპრყენის, რომელთა იგი შენ-
მცა ზიარ ხარ მათ შინა შეუბად უკუნისამდე. პრჭუა იოდასაფ: რომლითა უწყით
ქეშმარიტებაჲ საქმისა მაგის? და მან პრჭუა: ამით უწყით ქეშმარიტი: ოდეს
მოკუასთა ჴემთაგანი განვიდოდინ პორცთაგან, მაშინ ვიხილავთ ანგელოზთა ნათ-
ლისათა, მოსრულთა წარყვანებად სულსა მისთჳს, რომელი ბრძანებულ იყო
უფლისაგან, და გუესმის გალობაჲ ტყბილი, რომელი გამოვალს პირთაგან ან-
გელოზთასა. და ვითარცა განიყვანონ სული იგი, მაშინ აგუეკდების საბურველი
თუალთაგან ჩუენთა და ვხედავთ სულსა მას ტვრთულად ჳელთა შინა ანგელოზ-
თასა და აღმავალად ზეცად. და მივაყვანებთ თუალთა ჩუენთა, ვიდრემდის გან-
ვლიან ბნელნი იგი და პაერის მცველნი“ (A45). ეს პასუხი აქ მექანიკურადაა ჩარ-
თული მოთხრობაში, მას არაერთგვაროვნად არსებითი ან ლოგიკური კავშირი არ აქვს
მოთხრობასთან და არც რაიმე პასუხს იძლევა იოდასაფის მიერ დასმულ საკითხ-
ზე. ის ამოღებულია ისტორიკურ-ესქატოლოგიური შრომებიდან, როგორიცაა,
მაგალითისათვის, „ხილვაჲ ზოსიმესი“, შრომები მაკარი ეგვიპტელისა, ფსევდო-
დიონისე არეოპაგელისა და სხვ. ასეთი შრომები ქრისტიანულ მწერლობაში
ბევრია, ზოგი მათგანი იმ დროს ქართულ ენაზედაც იყო თარგმნილი.

5. იოდასაფს, მისი შეცდენის მიზნით, გარს შემოარტყეს ცუდი ყოფაქცევის
ქალები. „ხოლო იგი ოდეს აღიძვრის გულისთქუჲმად, აღანთის სანთელი, და
შიუპყრის თითი, ეცხელის რაჲ, უკმოიტაცის და თქჳს: „აჲ დასცხერ ბოროტი-
საგან და ცოდვისა“ (A67). ასეთი ხერხი სამიჯნურო ცდუნებისაგან თავის დახ-
წევისა მრავლადაა ცნობილი საეკლესიო მწერლობაში, მაგალითად, „პატერი-
კიდან“ ეგვიპტელი ბერის თავგადასავალი, მარტინიანეს „ცხოვრება“, ესენი
„ბალავარიანზე“ უფრო ადრე არიან დაწერილნი¹.

ავტორი A რედაქციისა არცთუ მონურად მისდევს B რედაქციას, ძირითა-
დად ის იმაზეა დამოკიდებული, მაგრამ იქიდან იღებს იმას, რაც მისთვის საჭი-
როა, და იმ ზომით, როგორც მის მიზნებს შეეფერება. ამასთან ერთად ის
გზად აგზავნის სხვა წყაროებსაც იყენებს, რასაც ადასტურებს ზე-
მომოყვანილი სამი უკანასკნელი მაგალითი.

ამრიგად, A რედაქცია არის საგანგებოდ შედგენილი რედაქცია, რომელიც
ნაირ-ნაირ წყაროებს იყენებს, ყველაზე მეტად და ფართოდ ახლად აღმოჩენილ
B რედაქციას.

რა მიზნითაა დამზადებული ეს შემოკლებული რედაქცია? ამას გვითვალის-
წინებს მისი სათაურა: „გვთხრობდა ჩუენ მამაჲ ისაჲ, ძე სოფრონ პალესტინე-

¹ კ. კეკელიძე, სამიჯნურო ცდუნების პრობლემისათვის ძველ ქართულ მწერლობაში,
ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 11, 1945, გვ. 13—17.

ლისაჲ და არს წიგნი ესე სიბრძნე ბალაჲვარისაჲ, რომელი იყოფოდა უდაბნოთა მძოვართა თანა“. ამ სათაურის გამო უნდა შევნიშნოთ: თუ წინადადება—„და არს წიგნი ესე სიბრძნე ბალაჲვარისაჲ“ ასე თუ ისე მოგვაგონებს არაბულ-ისლამური რედაქციის სათაურს: *«Это—книга Билалухара и Будацфа о поучениях и мудрых притчах»*, სიტყვები—„რომელი იყოფოდა უდაბნოთა მძოვართა თანა“ პირდაპირ ამოღებულია B რედაქციიდან, სადაც ვკითხულობთ: „იყოფებოდა მძოვართა თანა“ (115 ж), „შევეყო ძმათა ჩესთა, რომელნი მყოფ არიან უდაბნოსა“ (118 ж). ეს სიტყვებიც მაჩვენებელნი არიან A და B-ს ურთიერთობისა. მაგრამ ამოწერილი სათაური უფრო სხვა მხრივაც მნიშვნელოვანი. ამ სათაურში ჩვენ გვაქვს ნიმუში თხრობისა, რომელიც მოცემულია ხოლმე ე. წ. *Αποφθεγμαται των δαλων γερωνων* ან *Ανθρων δαλων βιβλιον*-ში, ჩვეულებრივი თქმით პატერიკებში. ამ ჟანრის ლიტერატურაში ესა თუ ის პირი ლაპარაკობს არა უშუალოდ, არამედ სხვისი. ზოგჯერ ორი-სამი პირის მეშვეობით. მაგალითად: „გვთხრობდა ამბა ისააკი, რომ ამბა პამბო იტყოდა“, „გვთხრობდა ამბა იოსები, რომ ამბა ისააკი იტყოდა მას“, „ამბა პიმენი გვთხრობდა“, „ამბა ანტონი ამბობდა ამბა პამბოსათჳს“ და სხვ. A რედაქცია რომ დასახელებული ჟანრის ნაწარმოებთან დაახლოვებას სცდილობს, ამას ამტკიცებს: ა) ავტორის მიერ სხვისი ნაამბობის გადმოცემა („გვთხრობდა ესადაეს მამაჲ-ო“), ბ) ხსენება ისააკისა, მომთხრობლის როლში, რაც ამ ჟანრის ლიტერატურაში, როგორც მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, ძალიან ხშირი მოვლენაა. გ) გადმოცემა მოქმედი პირისა უდაბნოში „მძოვართა თანა“: ნაჩვენები ჟანრის ლიტერატურაში მომთხრობელნი ან ის პირნი, რომელთა შესახებ ისინი მოგვითხრობენ, არიან უმეტეს შემთხვევაში მეუდაბნოენი და მძოვარნი, უპირატესად კოპტთა და ეთიოპელთა ქვეყნებიდან. ეს რომანი, ბერძნული ხელნაწერების ცნობით, მოტანილი ყოფილა „ეთიოპელთა შიდაქვეყნიდან“, რომელსაც ინდოეთი ეწოდებოდა. ამასვე გულისხმობს A რედაქციაც. რომელიც ამბობს: „მივიწიე ოდესმე ეთიოპედ (ხელნაწერებში შეცდომით—იოპედ) და მუნ ვპოვე წიგნი ესე პინდოთა საწიგნესა“. B რედაქციის ორი იგავი: სამი მეგობრისა და მეფის ძის შესახებ, რომელსაც დაქაბუცებამდე ქალის სახე არ ენახა, უფრო მეტ იმპულსს მისცემდა A-ს რედაქტორს დაემსგავსებია თავისი შრომა პატერიკებისათვის, რადგანაც ეს ორი იგავი პატერიკებშიც არის.

ერთი სიტყვით, A რედაქციის ავტორს მოუნდომებია B რედაქცია ქართული ბალაჲვარიანისა გადაეკეთებია პატერიკული ლიტერატურის ყაიდაზე. ეს გასაკვირიც არ არის, რადგანაც მეათე-მეთერთმეტე საუკუნეში, როდესაც დამუშავდა A რედაქცია, ზეენში დიდი მოთხოვნილება ყოფილა პატერიკულ ლიტერატურაზე, როგორც ეს ჩანს ხელნაწერებიდან¹. ბალაჲვარიანის შემოკლებულ და გამარტივებულ რედაქციას, ალბათ, უფრო ეტანებოდა მკითხველი საზოგადოება.

III

B რედაქცია და მისი ურთიერთობა არაბულთან

ჩვენ ვაჩვენეთ, რომ A რედაქცია „ბალაჲვარიანისა“ მომდინარეობს B-საგან, როგორც მისი შემოკლება და გადამუშავება. რას წარმოადგენს თვით B რედაქ-

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, გვ. 517—523.

ცია, რა წყაროდან მომდინარეობს ის? ამ საკითხის გადასაწყვეტად უნდა მივმართოთ რომანის არაბულ რედაქციას და შევუდაროთ მას B რედაქციას.

ასეთი შედარების თვალსაზრისით B რედაქცია ორ ნაწილად უნდა გავყოთ და შედარება მეორე ნაწილიდან დავიწყოთ.

თხზულების მეორე (ბოლო) ნაწილი, თედმას (ალ-ბახვანი არაბულში) წა. მოწყების ჩაშლისა და აბენეს მეფის ქრისტიანობის მხარეზე გადახრიდან, არაბულში შესატყვისს ვერ პოულობს. ქრისტიან ავტორს, იდეოლოგიური მოსახრებით, მოთხოვნის ქრისტიანიზაციის მიზნით, შეუცვლია არაბულის ბოლო და თავისებურად გადაუყეთებია იგი. არაბული რომანის ავტორი მხედველობიდან არ უშვებს რომანის ერთ-ერთ მიზანს, განაგრძოს აბენესის შთამომავლობა ტახტზე, ამიტომ მან ბუდასაფს (იოდასაფს) შეილი შესძინა და მისი სახით აბენესს შემკვიდროვ აღუდგინა. ამან გამოიწვია ქრისტიანულ რომანში ბოლოს შეცვლა. ამ ბოლოს იმ სახით, რა სახითაც ის მოცემულია არაბულში, ქრისტიანი მწერალი ვერ მიიღებდა. ამით აიხსნება, რომ არაბულმა რომანმა არ იცის ქრისტიანული რომანის (მისი ქართული B რედაქციის) სამეფოს ორად გაყოფის ამბავი. მამა-შვილს შორის მოციქულებისა და წერილების გაგზავნ-გამოგზავნა, აბენესის მოქცევის დეტალები, იოდასაფის უარი გამეფებაზე, მისი გაპარვა, მობრუნება, კვლავ უარი, ბარაქიას მეფედ დადგინება, ბალავარის საძებნელად წასვლა, მისი პოვნა, მათი გარდაცვალება და დასაფლავება, ბარაქიას მიერ მათ სხეულებზე ტაძრის აგება ქრისტიანული რომანის ავტორს ტახტის შემკვიდრობის ამბავი არ აინტერესებს თავისთავად, მაგრამ ანგარიში მაინც გაუწევია მისთვის. ამითაა გამოწვეული, რომ მან იოდასაფის შემდეგ გაამეფა არა მისი შეილი, რომელიც მას, ქრისტიანული რედაქციით, არ ჰყოლია, არამედ ბარაქია, რომელიც იყო, მისი სიტყვით, „ტომი ძირთაგან მისთა“, ესე იგი, აბენესის სამეფო გვარეულობას ეკუთვნოდა¹.

რაც შეეხება B რედაქციის პირველ ნაწილს, ის ზუსტად მისდევს არაბულს, მხოლოდ არაბული ამ ნაწილში უფრო ვრცელია. ქრისტიან ავტორს მოუხდენია მისთვის საჭირო, ქრისტიანული თვალსაზრისით, მასალის შერჩევა, ამიტომ ბევრი რამ გამოუტოვებია. საერთო ნაწილში სრული შეატყვისობაა როგორც ნარატიული მასალის. ისე მისი დალაგებისა და თანმიმდევრობის ხაზით. რაც შეეხება რომანის ზოგად დოგმატიურ-მორალურსა და, საერთოდ, ფილოსოფიურ მსჯელობას და ტრაქტატებს, ყველაფერი ეს, თავის თავად იგულისხმება. მთლიანად და უცვლელად ქრისტიანულ რომანში ვერ შევიდოდა, თუმცა ზოგიერთი ელემენტი ავტორს აქედანაც გამოუყენებია, მაგალითად: მეფე აბენესი სიკვდილის მოლოდინში შეილთან საუბრის დროს შიშს გამოსთქვამს: შეილი ამის გამო შენიშვნას აძლევს მას. მამა უპასუხებს: „ბუნებით თანაა ცოველსა სულსა მწუხარებმა განშორებისათჳს კორცთაჲსა და დატევებისათჳს, ამის აერისა და ნათლისა, და მისლვად ადგილად უცხოდ და იწროდ, სადა იგი, არა ვიცო, ვითარსა იწროებასა მიმთხვევად არს სული ჩემი“ (B 155, A 76). აი, ამ ადგილის შესატყვისი არაბულში: Я горю потому, что душа человеческая по природе своей боится смерти и переселения из покоя этого земного дыхания и мира этого земного благополучия в такое

¹ შეიძლება ამ ბოლო ნაწილს საფუძვლად დაედო სირიულ-ნესტორიანული რედაქცია, რომელიც დღეს ჩვენთვის დაკარგულია.

жилище, где мы ищем простора, не зная твердо его пространства и не будучи уверенным в том, каково будет там наше положение (стр. 180, перев. Розена).

ანდა: შეილმა დაამშვიდა მამა უკეთესი მომავალის აღთქმით. მამა ეუბნება მას: „მოგაგენ უფალმან, შეილო ჩემო, უკეთესი მისაგებელი კეთილისაჲ უფროჲს სასოებისა შენისა“ (B 157 a). არაბულში: *دا يواصلك الله تعالى، يا بني، بخير مما كنت تريد* (184).

აი ზოგიერთი, წარმოშობის თვალსაზრისით, დამახასიათებელი მსგავსება ქართულსა და არაბულს შორის:

1. ქართულში შეტანილია არაბული მრავალრიცხოვანი იგავეებიდან 11 იგავი, რომელთა თანმიმდევრობა ისეთია, როგორც არაბულში. საყურადღებოა, რომ ჩვენს რედაქციაში არაა სახარების არც ერთი იგავი, არაა იმითომ, რომ ანთი იგავეები, თავისთავად იგულისხმება, არ იქნებოდა არც არაბულში (გარდა მთესვარის შესახებ იგავისა, რომელიც არაა წმიდა ქრისტიანული, სახარებიდან მომდინარე იგავი).

2. ნაქორის (არაბულში რაქისის) გამოწყობა ბალაეარის ტანისამოსში იოდსაფის აუწყა, ორივე რედაქციით, მეფესთან დაახლოვებულმა კაცმა.

3. ქართულის იგავი კაბუკი მხედრისა და მისი ვნებიანი ცოლის შესახებ მხოლოდ არაბულშია.

4. ქართულსა და არაბულში ერთნაირადაა გადმოცემული წინასწარმეტყველება იოდსაფის შესახებ, რომ ის იქნება „წინამძღუარი“ ქეშმარიტებისა შორწმუნეთა და მოღვაწეთათვის.

5. ქართულსა და არაბულში ერთი და იგივე საუბარია ასიწლის მოხუცის დანახვის გამო.

6. თანახმად არაბულისა, ქართულმა არ იცის ლამაზი ასული, თხოვნა იოდსაფისადმი—ცოლად შეშირთეო.

7. თედმას გაჯავრება აბენესის მიერ კერპთაყვანისმცემელთა საზეიმო დღესასწაულის შეუსრულებლობის გამო იმავე სიტყვებითაა გადმოცემული ქართულში, როგორითაც არაბულში.

გარდა აღნიშნულისა, ჩვენ ქვემოთ შემთხვევა გვექნება ვაჩვენოთ ამგვარივე თანხმობა ქართულისა (B) არაბულთან.

8. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ რასაც რომანის დასაწყისში, A რედაქციით, აკეთებს მარტო ბალაეარი, ამ რედაქციაში მას სამი კაცი აკეთება. ამ შემთხვევაში B რედაქცია გამოდის არაბულიდან.

გარდა შინაარსობლივი მონაცემებისა B რედაქციის არაბულზე დამოკიდებულების სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ლექსიკურ-სინტაქსური სემიტიზმები¹, რომელნიც ნ. მ. ა. რ. მ. ა. არაბულიდან მომდინარედ სცნო A რედაქციაში² და რომელნიც ადგილს პოულობენ B რედაქციაშიც. ლექსიკური მარაგიდან საყურადღებოა გამოთქმა „სიტყვა-მკურნალი“ და „სიტყვა-მკერვალი“: „მე კაცი ვარ სიტყვა-მკერვალი“ (B 128); „და მოეცენა კაცი იგი სიტყვით მკერავი, მოუწოდა და პრქუა მას: შენ მეტყოდე ოდესმე, ვითარმედ განკურნებ სიტ-

¹ ЗВОРАО, т. XI, гл. 59—62.

² Агиографические материалы по грузин. рукописям Иверы, 1901, гл. 101—102.

ყუათა წყულულთა“ (14 მ). აქ ჩვენ გვაქვს საქმე სიტყვების აღრევასთან, რომელიც წარმოშვა შესაფერ არაბულ სიტყვაზე ღიაკრიტული ნიშნების გადასმ-გადმოსმამ.

მნიშვნელოვანია ქართულ-არაბულ რედაქციათა ურთიერთობის თვალსაზრისით ნაწარმოების ონომასტიკონი, პირველ ყოვლისა, საკუთარი სახელები ბალაქვარ და იოდასაფ. მეცნიერებაში დიდი ხანია მიქცეულია ყურადღება, რომ ბალაქვარ არაბული ფორმიდან მომდინარეობს, უფრო მკვეთრად ამას იოდასაფი ილასტურებს. იოდასაფი არის ბუდას ეპითეტი Bodhisattva, რომელიც არაბულში გადმოვიდა როგორც Bodasaph, ხოლო იქედან არაბული ბ და ე-ხ აღრევის შესაძლებლობის გამო (ب پ) წარმოიშვა იოდასაფ¹.

შემდეგ აბენესის თანამზრახველის სახელი რაქის გამეორებულია ქართულშიც, ბერძნულში მის უდრის არაქის. გეოგრაფიული სახელები: ბალავარის ქვეყანას ეწოდება ქართულში, თანახმად არაბულისა, სერენდიბის ქვეყანა, ხოლო იოდასაფისა-შავი ლაბატ.

ყველაფერი ეს ექვს არსტოვებს, რომ B რედაქცია ქართული „ბალავარიანსა“ დამოკიდებულია რომანის არაბულ რედაქციაზე.

როდესაც ამას ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს არა ისლამური რედაქცია რომანისა, არამედ მისი ქრისტიანული გადმოკეთება არაბულ ენაზევე. არაბულ ენაზე ფალაურიდან გადმოკეთებული რედაქცია რომანისა ქრისტიანებს, ჩანს, გადაუმუშავებიათ ქრისტიანულ ყაიდაზე. ეს სავსებით გასაგებია: ასკეტიკური და მორალური მხრით, რამდენადმე დოგმატიკურადაც, ეს არაბული რომანი იმდენად ზოგადრელიგიური ხასიათისაა, რომ იმით ქრისტიანებსაც შეეძლოთ ესარგებლათ. ამიტომ ეს მომხიბლავი შინაარსით და ზედმოქმედი ნაწარმოები ქრისტიან არაბებს გადაუკეთებიათ ქრისტიანულ რომანად, და დაუპირისპირებიათ, შეიძლება პროპაგანდის მიზნითაც, ისლამური რედაქციისათვის. შეუძლებელი არ იყო დღეს დაკარგული სირიული რედაქციის ზოგ რამეში გამოყენება.

არაბულ-ქრისტიანული რედაქცია რომანისა უნდა გაჩენილიყო არა უადრეს მეცხრე საუკუნისა. მართლაც, მერვე საუკუნის მეორე ნახევარში ფალაურიდან არაბულზე თარგმნილი ნაწარმოები მეცხრე საუკუნეზე ადრე ვერ გადაკეთდებოდა ქრისტიანულ რომანად. მეორე—სწორედ ამ დროს იწერება თუ ითარგმნება არაბულ ენაზე მნიშვნელოვანი შრომები ქრისტიანული მწერლობისა, ამას დაგვიდასტურებს არაბულიდან ნათარგმნი მეგლები ქართული მწერლობისა, უკანასკნელად ამ თარიღის სასარგებლოდ ლაპარაკობს ერთი დეტალი:

იოდასაფი ეკითხება ბალავარს, საიდან ვიცი, რომ მოციქულები „ქეშმარიტსა იტყჷან“, ისინიც ხომ კაცები არიანო? ბალავარი ჯერ ახასიათებს მოციქულების მოძღვრებასა და საქმიანობას და მერე განაგრძობს:

¹ R. L. Wolff, The Apology of Aristides (Harvard Theological Review, XXX, 233—234, შენიშვნა 1); А. К р и м с к и й, Абам Лавиакан, хананействующий поэт (Записки Лазаревского Института Восточных языков, 1913, вып. 37, 88-89, прим. 2, 88-89, прим. 1)

„უკუეთუშცა იყვნეს ისინი ცრუ მოწამენი ღმრთისანი და მტყუარნი, არა-
მცა ცაქციართა საჭიროთა და იწროთა გზათა ავლინებდეს კაცთა, არამედ
უფრომამცა წინაუყოფდეს მათ, რომელ იგი შეაშუენეს ბუნებასა კაცთასა, და
ერცელი იგი გზა და ფართოჲ კარიშცა უჩუენეს, რომელ არს საწადელი თუალ-
თაჲ და სანებელი გჳლთაჲ ნიმცაუშვეს შუებათა და გულისთქუმათა მიმართ და
ფართოებით ცხოვრებად და ესევეითარითამცა მოიმძევლნეს გულნი კაცთანი.
არამცა ლოცვითა და მარხვითა და მოთჳინებითა ჳირსა შინა და განსწორე-
ბითა მდიდართა და გლახაკთაჲთა განაკრთვნეს გულნი კაცთა-
ნი. ამისა გამო ეცნობთ, რამეთუ ჳეშმარიტსა იტყ ან და საქმენიცა მათნი წამე-
ბენ, რამეთუ დაბადებულთა ვერ კელეწიფების ჩუენებად ეგვეითართა სასწა-
ულთა და ნიშთა“ (B 70 a—B, A-ში, გვ. 39—40).

ამ ამონაწერში ჳრისტიანობის მჳადაგებელნი დაპირისპირებულნი არიან
„ცრუ და მტყუარ“ მჳადაგებლებთან, რომელნიც „იწროსა და საჭიროსა გზა-
სა“ კი არ ატარებენ აღამიანებს, არამედ ფართოსა და სიამოვნებით აღსავეს
გზაზე. ისინი „განსწორებითა მდიდართა და გლახაკთა“ არ განაკრთობენ აღა-
მიანის გულს, როგორც ამას სჩადიან, იგულისხმება, ჳრისტიანობის მჳადაგე-
ბელნიო?. ამ ამონაწერში ჩვენ გვაქვს ტიპიური ბრალდება, რომელსაც ჳრისტი-
ანები მაჳმადიანობას უყენებდნენ, მაშასადამე, თხზულება, სხვა მიზნებთან ერ-
თად, მაჳმადიანობასთან პოლემიკასაც იხაზავს. ასეთი პოლემიკა ჳრისტიანულ
მწერლობაში უმთავრესად მეცხრე საუკუნიდან იკიდებს ფეხს. მეცხრე
საუკუნეში ჩამოყალიბებული ჳრისტიანულ-არაბული რომანი გადმოუკეთებიათ
ქართულად¹, მაშასადამე ეს უკანასკნელი მეცხრე საუკუნის ბოლომდე თუ მეა-
თის დამდეგამდე ვერ გაჩნდებოდა. სწორედ მეცხრე-მეათე საუკუნეში გაი-
ფურჩქნა არაბული და ქართული ჳრისტიანული მწერლობის ურთიერთობა. ამ
დროს ითარგმნა ქართულად არაბულიდან მნიშვნელოვანი ძეგლები ჳრისტიანუ-
ლი მწერლობისა.

ამ თარიღის სასარგებლოდ ლაპარაკობს ნაწარმოების ლექსიკური სახე.
ამ მხრივ ყურადღების ღირსია შემდეგი სიტყვები:

აღჩჩუა. „და ეითარცა იხილა იოდასაჲ, აღჩჩუა მას ზედი“ (B! 8).

ბარე: „მიიღე ბარე“ (B2 a).

1 მეორე ადგილას ნათქვამია: იოდასაჲს „შეჴლისათჴს სამართალ უჩანს მალეზაჲ სა.
მართლთაჲ და განსწორებაჲ მთავართა და გლახაკთა“ მას შინა“ (B 146a).

2 ეს მოტივი პირველყოფილი ჳრისტიანობისა, რომელიც მაჳმადიანობისათვის არც ისე
ნაცნობი იყო, განსაკუთრებულ სიმწვავეო გატარებულა იმ ბაჴში, რომელიც წარმოებს აბე-
ნესსა და მელდებროეს შორის. აბენესის შენიშვნაზე, რომ მას სურს ბედნიერი ცხოვრება ყველ-
სათვის, მელდებროე ეუბნება: „ნამდულვე თუ ეგე ეგრეთ არს და გნებავს ყოველთა კაცთა
შუებათა შინა ცხოვრებაჲ, რად არა იზიარებ ყოველთა კაცთა საშუებელთა შენთა? რამეთუ
შენ ყოველთა საშუებელთა წინაიყოჲ, და გლახაკნი მშვერნი და შიშუელნი მაშოელნენ ჳჳა და
იჭი, პრჳუა შეფემან. ამისთჴს, რამეთუ არა სწორ არიან შეფე და მონანი, ერისთავნი და ერნი,
და რათა კაცად-კაცადმან მიიღოს საზომისაჲრ შუიბაჲ და პატივი“ (B92a, A 52). ეს ბა-
სი არის არაბულსა (გვ. 103—104) და ბერძნულს (თ 23) რედაქციებშიც. მაგრამ უფრო შერ-
ბილებული სახით, ყოველ შემთხვევაში იმათში იდგილი არ ჳქვს შეფის პასუხს.

3 უსაფუძვლო იქნებოდა გვედიქცია, რომ ქართული რედაქცია არ აღმოცენებულა ჳრისტი-
ანულ-არაბული რედაქციის მეშვეობით, რომ ის შედგენილია ქართველის მიერ არაქრის-
ტიანულ არაბული რედაქციის ნიადაგზე. ამის საწინააღმდეგოდ ყველაზე მეტად ლაპარაკობს
სიტყვებს „მერუალის“ და „მერერნალის“ აღრევა, იგრეთვე ონომასტიკური მონაცემები, თუ-
გინდ „ბალაქვარ“ და „იოდასაჲ“.

განო: „შსაჯული სიმართლისაჲ ჟერ არს, რათა ემსჯავროს მოისარსა, რაჲ ზელმან უფროჲს ზომისა არა მოაზიდნის შჯლდსა. ნუ უკუე გარდაიფლოს განსა.. და პართლ თუალნი მიაყუარნის, რათა განემარჯვოს მიმთხუევაჲ განისაჲ (168),

გაშუნდეს: „რომელი არა მას გეტყოდის, რომელი შენ გაშუნდეს. არაჲდ რომელი იგი სულსა გერგებოდის შენ (167ა).

გეზაობდო: „რამეთუ გეზაობდი შენ სინათლედ ცხოვრებისა ჩემისა“ (127ა).

გრონი: „იხილნა გრონი მძოართანნი მიმავალნი (90 მ).

დასტური: მეფეს ეჩინა მზრდელად ძისა თჳსისა კაცი ვინმე ერთგული და დასტური წინაშე მისსა“ (72ა). „დამადგინა მსახურებასა შენსა ზედა დასტურობისა და ერთგულობისა ჩემისათჳს“ (72 მ); მეფემ ზანდანის მაგიერ დაადგინა „დასტურთა მისთაგანი“ (86 მ).

იხუანჩი: „მაქუს იხუანჩისა ჩემსა მარგალიტი“ (57 მ).

კოტორი: „და არარაჲ ემოსა, გარნა კოტორი ძაძისაჲ“ (81მ), კოტორი ნაძუელთაგანი“ (იქვე). „ხოლო უმეტესი მოგაგოს კოტრითა და ნაძულთა“ (166 მ).

კუერი მზისთუალისაჲ: „რომელნი უბრწყინვალეს იყვნენ უფროჲს კუერსა მზისთუალისასა“ (171 ა).

მომდოვრება: „განუდგეს მომდევრებასა გზათაგან მძლავრთაჲსა (70).

პაემანი: „ჰყევს პაემანი შეკრებისაჲ“ (190 მ) ●

პაპრაკი: „რომელი პაპრაკთაგანი ეშმაკთაჲ ხაო შენ“ (95 ა); „მე არა ვარ პაპრაკი ეშმაკთაჲ“ (იქვე).

რუბერ მზისაჲ: „კელისმიყოფაჲ რუპესა მზისასა“ (14 მ).

უნახი: „რომელნი შეპყრობილ იყვნეს უნასთათჳს და კაცისკჳლულობისა. თჳს“ (134 ა).

ფლახი ნაძუელი: „არარაჲ ემოსა თჳნიერ ფლახისა ნაძუელი“ (166).

ღნიოში: „ნელსაცხებელნი პატიოსანნი არავინ შთასხნის ჰურჰელსა ღნიოშსა“ (168ა).

ცერი: „სიმდიდრე და სიგლახაჲე ორნიჲე ცერსა ზედა დგანან გარდაქცეუად“ (169 ა).

ეწიფო: „რათა ეწიფო საქმესა პირისპირ“ (141 ა).

საბლარდნელი: „საბლარდნელი მსახურებული“ (82 მ) და სხვა მრავალი.

ქართული თარგმანი შესრულებულია. უნდა ვიფიქროთ, პალესტინის ქართულ მწიგნობრულ კოლონიაში. ვინ არის ავტორი არაბულ-ქრისტიანული რედაქციისა ან მისი ქართულად გადმომთარგმნელი, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. არაბული დედანი ქართულისა ჟერ აღმოჩენილი არაა.

IV

A რედაქცია და ბერძნული რომანი

A რედაქცია ქართული რომანისა, როგორც დავინახეთ, მომდინარეობს B რედაქციიდან, რომელიც დამოკიდებულია არაბულზე, ამით ირკვევა ურთიერთობა არაბულთან A რედაქციისაჲ. ახლა საჭიროა განვიხილოთ ურთიერთობა A რედაქციისა რომანის ბერძნულ რედაქციასთან. ეს მით უფრო საჭირო და აუცილებელია, რომ ის მკვლევრები, რომელნიც ბერძნული რომანის ქართული-

საგან წარმოშობას იცავდნენ, გამოდიოდნენ A რედაქციიდან, რადგანაც B რედაქცია მათ დროს ცნობილი არ იყო.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში რუსმა ორიენტალისტმა, აკად. ვ. როზენმა წამოაყენა მოსაზრება, რომელსაც ის „სიმართლის მსგავს შესაძლებლობად“ (правдоподобная возможность) თვლიდა, რომ რომანის ბერძნულ რედაქციას საფუძვლად უდევს ქართული თარგმანი რომანისაო¹. ამ მოსაზრებას აკად. ნ. მარი სიფრთხილით უდგებოდა. „Вопрос считается недостаточно обоснованным, чтобы высказаться с решительностью“². შემდეგში ეს მოსაზრება გაიზიარეს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთაც, სხვათა შორის. ისეთმა მეცნიერებმა, როგორც იყვნენ Hommel-ი და P. Peeters-ი. ამ მოსაზრების მომხრენი საბუთად იყენებდნენ ორ ფაქტს: 1. ექვთიმეს ბიოგრაფი გიორგი ათონელი ამბობს: ექვთიმემ „ბალაქვარი და აბუკურაჲ და სხუანნიცა ჩაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნა ბერძნულადო“³. 2. აღნიშნული რომანის ერთ-ერთ ბერძნულ ხელნაწერს (Marc. VII, 26; Nap. 137), რომელიც, P. Peeters-ით, მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის, სათაურში მიწერილი აქვს (მოგვეყავს მინაწერი ქართულად): „თარგმნილი ქართულისაგან ბერძნულსა ენასა ზედა ექვთიმეს მიერ, კაცისა ღირსისა და კეთილმსახურისა, ქართველად წოდებულისა“⁴. ამ ცნობათა სისწორეს მისი მომხრენი ასაბუთებენ იმ მოსაზრებით, რომ ექვთიმეს შესაძლებლობა ჰქონდა, ბერძნული ენის ზედმიწევნით ცოდნის გამო, ასეთი თარგმანი შეესრულებიაო.

დღეს, როდესაც მეცნიერებაში საყოველთაოდ ხაზგასმულია ბიზანტინიზმის, როგორც გარკვეული კულტურული ტიპის, აღმოსავლური ინგრედიენტებიც, არაფრის თქმა არ შეიძლება ქართულიდან ბერძნულ ენაზე მთარგმნელობის შესაძლებლობის წინააღმდეგ. სცდებოდა, სასტიკად სცდებოდა ზოტენბერგი, რომელიც ასეთ შესაძლებლობას უარყოფდა X—XI საუკუნეებში ვითომცდა ქართველთა უკულტურობის და ქართული ენის განუვითარებლობის გამო. შესაძლებლობა ჰქონდა ასეთი მთარგმნელობისა, ენის ჭეროვანი ცოდნის გამო, ექვთიმესაც; ის არამცთუ მთარგმნელობას ეწეოდა, ორიგინალურ თხზულებასაც კი წერდა ბერძნულად, როგორც ეს გაირკვა უკანასკნელ წლებში⁵. მაგრამ როდესაც ლაპარაკია „ბალაქარიანის“ ბერძნულად თარგმნის შესახებ, მოსალოდნელია გვითხრან: ერთია შესაძლებლობა, მეორე სინამდვილე.

ბერძნული „ბალაქარიანის“ პრობლემის გასარკვევად გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ბერძნულ-ქართული ტექსტების შესატყვისობას: არის თუ არა მათ შორის ისეთი შესატყვისობა, რომელიც ქართული დედნის ორიგინალობას უჩვენებდეს, ჰფარავენ თუ არა ისინი ერთმანეთს შინაარსობლივად

¹ Записки Восточного Отделения Русского Археологического Общества, II, გვ. 172.

² იქვე, XI, გვ. 51

³ ათონის კრებული, გვ. 4.

⁴ ეს ცნობა საფუძვლად უდევს 1048 წელს შესრულებული ლათინური თარგმანის (Neapol VII B., io. XIV ს.) ცნობას, რომ ვარლამისა და იოანესაჲს historia translata in colloper Eufimium, sanctum virum, აგრეთვე Wolff-ის მიერ მოპოვებულ ცნობას, ვითომც ეს რომანი თარგმნა ექვთიმემ დედნიდან avasgo stilo conscripto (გაზეთი „კომუნისტი“, 1939, № 205).

⁵ ქ. კეკელიძე, ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, თბილ. უნივერსიტ. შრომები, ტ. 51. 1953.

იმდენად, რომ ერთი გამოვიყვანოთ მეორისაგან, როგორც თარგმანი? რამდენადაც ირკვევა, მათ აქვთ საერთო ადგილები, მაგრამ ამ საერთო ადგილებში ისეთ სიახლოვეს ვერ ვხედავთ, რომელიც ქართული რედაქციის დედნობას გვიცარნახებდეს. ამასთან ერთად, რაც მთავარი და დამაფიქრებელია, მათ შორის ისეთი განსხვავებაა, რაც შეუძლებელს ხდის მათ შორის დედან-თარგმანის ურთიერთობას. აი ეს განსხვავებანი:

ქართულში არაა შესავალი სიტყვები და აღწერა ინდოეთისა, რომელსაც ბერძნულში თვალსაჩინო ადგილი უკავია. ბერძნულში უხვად და ქარბადაა მოცემული დოგმატიკურ-ასკეტიკური მსჯელობანი, რომელთაც ქართულში ადგილი არ აქვთ: ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, დამტკიცება ქრისტიანობის ლეთიური წარმოშობისა იმით, რომ ის მოედო მთელ ქვეყნიერებას მცირერიცხოვანი და უმნიშვნელო ადამიანების თავდადებით; შედარება ახალი აღთქმის რელიგიისა მოსეს სჯულთან, უამრავი ციტატით ბიბლიიდან, დაწვრილებითი საუბარი ქრისტიანული რელიგიის თითქმის ყველა დოგმატის შესახებ, მოძღვრება ქრისტეს პიროვნებაში ორი ნების, წმიდა ნაწილთა (Migne I. 96, 1227 C) და ხატთა თაყვანისცემის (col. 1032 BC), აგრეთვე თავისუფალი ნებისა და თავისუფალი გამორჩევის შესახებ; განმარტება ნათლისღების, ზიარებისა და სინანულის საიდუმლოთა, სიტყვა მოწყალების შესახებ, მოთხრობა აღმსარებელთა და მოღვაწეთა, მეუდაბნოეთა და მონაზონთა შესახებ; აღწერა მეორედ მოსვლის დროს უკანასკნელი მსჯავრისა და საიქაო ცხოვრებაში ბოროტთა და მართალთა მისაგებელისა; მხილება წარმართთა სხვადასხვა რელიგიისა, კერძოდ კერპთთაყვანისმცემლობისა, მხილება ებრაელთა სჯულისა, მწვალებლებისა, წარმართთა ფილოსოფოსებისა და პოეტებისა. იმ შემთხვევაშიც, როდესაც რომელიმე დოგმატური ან ასკეტიკური საგანი ერთი და იგივეა ქართულსა და ბერძნულ მოთხრობაში, ბერძნული რედაქცია განიჩევა ქართულისაგან; განსხვავება მდგომარეობს საგნის სისრულით შემუშავებასა და რიტორიკულად გადმოცემაში (ამ განსხვავებათ სხვებიც უჩვენებდნენ ჩვენში, მაგ. ნ. პარი და ე. თაყაიშვილი). ერთი სიტყვით, ქართული რედაქცია თითქმის ორჯერ უფრო მოკლეა, ვიდრე ბერძნული. ყველაზე მეტი განსხვავება მათ შორის იგავებშია: ქართულში 11 იგავია, ბერძნულში 15. იგავები განსხვავდებიან რიგით, თანმიმდევრობით და ცოტად თუ ბევრად შინაარსობლივი გაფორმებითაც. ამ ცხრილი მათი:

ბერძნულის

ქართულში უდრის

I. იგავი—მთესვარი (თ. 6)		2-ს
II. კეთილი მეფე, ორი გლაზაკი და ყუთები .		1
III. მდიდარი და ლაზარე (თ. 9)	,	არაა
IV. საქორწილო ზეიმი (თ. 9).		არაა
V. ათი ქალწული (თ. 9)		არაა
VI დაქვრილი ბუღბული (თ. 10)		8
VII. ჭძლები შეილი (10)		არაა
VIII. დაკარგული ცხვარი (თ. 11)		არაა
IX. მარტორქა და ორი თაგვი (თ. 12)		3
X. სამი მეგობარი (თ. 13)		4

XI. მეფე ერთი წლით (თ. 14)	5
XII. კეთილი მეფე და მოცეკვავე გლაბაკები	6
XIII. მდიდარი ქაბუკი და ღარიბი ქალი	7
XIV. უდაბნოში დაკარგული ქურციკი (თ. 18)	9
XV. მეფის ძე, რომელსაც ქალები არ უნახავს (თ. 30)	11

გარდა ამისა, ქართულში არის კიდევ ერთი, მეათე, იგაეი—ქაბუკი მხედრო-
სა და მისი ვნებიანი ცოლის შესახებ, რომელიც ბერძნულში არაა.

მიზანი იგაეებისა ქართულში მარტივია: მათ აქვთ შემეცნებითი ხასიათი. ამ იგაეებითა და მათი აზრის ახსნით ბალავარი თანდათან ამზადებს მეფის ძეს ქრისტიანობის მისაღებად, ბერძნულ რედაქციაში იგაეები იკარგებიან სხვადა-
სხვა შესწელობაში, მათ შემთხვევითი ადგილი უჭირავთ და მოსამზადებელი ხა-
სიათი არა აქვთ.

ნათქვამის შემდეგ უცილობელ სიმართლედ უნდა იქნეს მიჩნეული სიტყვე-
ბი აკად. ვ. როზენისა: *грузинский текст не может конечно считаться подлинником, легшим в основание греческой версии*¹. როგორ გავიგოთ ეს სიტყვები, ავი მოსაზრება ბერძნული რედაქციის ქართულისაგან მომდინარეობის შესახებ პირველად მან გამოთქვა? მას შემდეგ, რაც ქართული ტექსტი რომანისა უშუალოდ, თუ რუსული თარგმანის საშუალებით, რომელიც ივ. ჭავჭავაძის ეკუთვნის², ხელმისაწვდომი გახდა მკვლევართათვის, ქართული რედაქციის დედნობის მომხრეებმა დაიწყეს მტკიცება, რომ ექვთიმე კი არ თარგმნა ქართული რედაქცია, არამედ გადაამუშავა ის: მის საფუძველზე მან დაწერა ბერძნულად ის რედაქცია, რომელიც დღეს არის ცნობილი. მან განაცხადო ქართული რედაქცია (რადგანაც ნება ჰქონდა „შემატებისა“) დოგმატიკურ-სქო-
ლასტიკური და რიტორიკული ელემენტებით. ამას ეწინააღმდეგება მთელი რიგი მოსაზრებებისა.

1. გიორგი ათონელი და ბერძნულ-ლათინური წყაროები ლაპარაკობენ
რა გადაკეთება-გადამუშავება-გავრცობასა და ახალი შრომის დაწერაზე, არა-
მედ კ ა დ ა თ ა რ გ მ ნ ა ზ ე: თარგმნა, *ἐκμνησμένη, μεταφρασμένη, translata*.

2. ბერძნულ რედაქციას მარტო დოგმატიკურ-სქოლასტიკური და რიტორი-
კული ელემენტი კი არ ავრცობს, არამედ სხვა რამეც. თან, ჩვენ ვიცით, რომ
ექვთიმე თავის თარგმანებს, დედანთან შედარებით, ადიდებდა უფრო ნარატი-
ული, მოთხრობითი ხასიათის ელემენტით, რომელიც მას მოჰქონდა ბიბლიიდან,
აპოკრიფებისა და აგიოგრაფიულ-ისტორიული თხზულებებიდან, დოგმატიკურ
შესწელობას კი, თავის საკუთარს, ასეთ შემთხვევაში ის ერიდებოდა.

3. ექვთიმე, რომელიც ქართული რედაქციის საფუძველზე თითქოს ახალ
რედაქციას ჰქმნიდა, ვერ დაუშვებდა იმ წინააღმდეგობებს, რომელთაც ადგი-
ლი აქვთ ქართულ და ბერძნულ რედაქციათა შორის. ასეთია: ა) ქართული რე-
დაქციით, ბალავარი იყო „წარჩინებული“ (გვ. 5), ბერძნულში კი ნათქვამია:
რომელი ადგილიდან ან ტომიდან იყო ის. ვერაფერს ვიტყვი (თ. 6); ბ) ბალა-
ვარი, ქართული რედაქციით, კვდება 60 წლისა, ბერძნულით კი თითქმის 100

¹ Записки Восточного Отделения, т. X, гл. 201.

² იქვე. ტ. XI, გვ. 1—48.

წლისა, რომელთაგან 70 უდაბნოში გაატარა (თ. 39); გ) ინდოეთის მეფე აბენესი ქართულში სიმპათიურადაა წარმოდგენილი, ბერძნულში კი არა; დ) ქართული იგავის „სპილო“ ბერძნულში შეცვლილია „მარტორქით“ და სხვ.

4. ის ვერ გამოუშვებდა თავის თარგმანში, თუ ის მიზნად ისახავდა გავრცობას და არა შემოკლებას მოთხრობისას, ისეთ რამეს, რაც ქართულში არის, ბერძნულში კი არ ჩანს. ასეთია: ა) მეტად საინტერესო იგავი ჭაბუკი მხედრის და მისი ენებიანი ცოლის შესახებ (გვ. 64—65); ბ) ქართულში არის, ბერძნულში კი არაა, ეპიზოდი იმის შესახებ, რომ ბალავარს (ყეთილ ვეზირს) მეფემ გულზე ჯვარი უნახა და ამით დარწმუნდა, რომ ის ქრისტიანია; გ) ბერძნულში არაა ქართულის ცნობა იმის შესახებ, რომ ბარაქია იყო ნათესავი იოდასაფისა; დ) არ არის ბერძნულში აგრეთვე ქართულის გადმოცემა იმის შესახებ, რომ მღელვარე იოდასაფი თითებს დაიწვეს ანთებულ სანთელზე; ე) ქართულში გადმოცემულია შემდეგი: თედმამ რომ დაინახა, რომ აბენესი არ აპირებს კერპთთაყვანისმცემელთა საზეიმო დღესასწაულის გამართვას, ის გააგდებს კვერთხს, გაშიშვლდება და პრისხანედ ეუბნება მეფეს: ჩემთვის მონაზონთა გზა და ცხოვრება არაა საშინელიო (გვ. 65); ეს ბერძნულში არაა, და სხვ. რა მოსაზრებით შეეძლო ექვთიმეს ეს ადგილები გამოეტოვებია თავის თარგმან-გადაამუშავებულ შრომაში? „გავრცობის“ მიზნით, თუ მას ასეთი მიზანი ჰქონდა, მას ისინი, რომ არც ჰქონოდა დედანში, უნდა შეეთხზა და შეემატებია.

შეიძლება ვინმემ ყველაფერი ეს შემთხვევითი ხასიათის მოვლენად ჩათვალოს და ექვთიმეს „შემოქმედებით“ თავისებურებად მიიჩნიოს; „შემოქმედებას“ თავისი ლოგიკა აქვს და „შემთხვევაზე“ არ შეიძლება აგებულ იქნეს. როგორ შევხედოთ ამ შემთხვევაში ბერძნული რედაქციის ისეთ ადგილებს, რომელნიც ქართულში არ მოიპოვებიან, ამავე დროს კი მათ ადგილი აქვთ რომანის არაბულ რედაქციაში? აი ასეთი ადგილები:

ა) მხეცისაგან დევნული კაცის იგავში, ბერძნულითა და არაბულით, ლაპარაკია ოთხი გველის შესახებ ქაში. ქართულმა ეს არ იცის; ბ) ერთი წლით დაყენებული მეფის იგავში, ბერძნულითა და არაბულით, ლაპარაკია მეფის გონიერი მრჩევლის შესახებ, ქართული მას არ იცნობს; გ) ქართულში არაა ბერძნულისა და არაბულის ამბავი ძაღლებისა და ფრინველების მოშინაურების შესახებ; დ) თედმა, ბერძნულ-არაბულით, მისი რჩევის ჩაშლის შემდეგ, გადავა მეფის ძის მხარეზე, მოიქცევა და წავა უდაბნოში, ქართულში კი ის აღარ ჩანს ამის შემდეგ; ე) ქართულში ლაპარაკია ორი ყუთის შესახებ, ბერძნულ-არაბულში ოთხის, ვ) მრავალი დეტალი რომანის ბოლო ნაწილისა, რომელიც ქართულშია, არ ჩანს არც ბერძნულში, არც არაბულში. ერთი სიტყვით, ბერძნულში არის ისეთი ადგილები, რაც ქართულში არაა, მაგრამ არის არაბულში, და პირიქით—იმში არ არის ისეთი ადგილები. რაც ქართულშია, მაგრამ ეს ადგილები არც არაბულშია. მაშასადამე, ამ ხაზით ბერძნული სცილდება ქართულს და უახლოვდება არაბულს. ამ მხრივ ყველაზე საყურადღებოა შემდეგი ადგილი: ის, რასაც რომანის დასაწყისში, ბერძნულით, სამი კაცი აკეთებს, ქართულით მიეწერება მხოლოდ ბალავარს. როგორ, ნუთუ ექვთიმემ თარგმნის დროს

ერთი კაცი თავისი დედნისა გაასამპიროვნა? არა, აქ ექვთიმეს შემოქმედების „თავისებურება“ არაფერ შუაშია, რადგანაც საქმე ასეთ წარმოდგენილი არაბულ რედაქციაშიც.

მოტანილ მოსაზრებათა საფუძველზე უნდა ითქვას, რომ ბერძნული რედაქცია რომანისა არ არის თარგმანი ამდებანს ცნობილი ქართული A რედაქციისა¹ და არც ექვთიმე ათონელის მიერაა ის დაწერილი.

მაშ ხომ არ მართლდება კარგა ხანს გაბატონებული და უკანასკნელად F. Dölger -ის მიერ გაცოცხლებული თეორია იოანე დამასკელის ავტორობის შესახებ? ამაზე ლაპარაკი დადებით მას შემდეგ, რაც F. Dölger-ის თეორია სასტიკად იქნა გაკრიტიკებული მეცნიერებაში,² ზედმეტია, ამიტომ ჩვენც არ შევხებით მას, შევნიშნავთ მხოლოდ მოკლედ შემდეგს: 1. მართალია, ბერძნული რომანის ზოგიერთი ხელნაწერის სათაურში ჩვენ გვხვდება „იოანე დამასკელის“ სახელი, მაგრამ ეს არის მოგვიანო დროის ხელნაწერები, არა უადრეს XIII საუკუნისა³; 2. მართალია, იოანე დამასკელს რომანის ავტორად თელის მისი „ცხოვრების“ არაბული ვერსია, მაგრამ ეს ყალბი ცნობა მოგვიანო დროის ჩანამატია, ის არ ყოფილა ამ „ცხოვრების“ ბერძნულსა (სამუელ ადანელის) და ქართულ (ეფრემ მცირის) თარგმანებში, რომელნიც ეკუთვნიან არაბული „ცხოვრების“ თანამედროვეებს; 3. ისიც მართალია, რომ Dölger-მა ბერძნულ ბალაეარიანში მრავლად აღმოაჩინა ისეთი ადგილები, რომელნიც ამოღებულნი არიან დამასკელის თხზულებებიდან, მაგრამ ეს დამასკელის ავტორობას კი არ ამტკიცებს, არამედ იმას, რომ ბერძნული რედაქცია არის ნაკრები, ე. წ. მეტაფრასული რედაქცია, მეტაფრასტები კი თავიანთ ნაშრომებს ამოკობდნენ სხვადასხვა ცნობილ ავტორთა თხზულებებიდან ამოკრეფილი ციტატებით; 4. როგორც ასეთი, ის არც შეიძლება დამასკელის თხზულება იყოს, რადგანაც დამასკელის დროს, მერვე საუკუნის პირველ ნახევარში, მეტაფრასული მიმართულება ჯერ არ არსებობდა; 5. ბერძნული რედაქცია წდება მეთერთმეტე საუკუნის დამდეგიდან; შეუძლებელია მერვე საუკუნეში დაწერილი შრომა, ისიც იოანე დამასკელისა, საუკუნეთა უფსკრულს ისე შთაენთქას, რომ მისი კვალი არ დარჩენილიყოს და მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნეში ამოტივტივებულიყოს მწერლობის ზედაპირზე.

¹ [და არც შეიძლება ამის თარგმანი იყოს, რადგანაც A რედაქციის შექმნა, პროფ. ილ. აბულაძის აზრით (ბალაეარიანის ქართული რედაქციები, 1957 წ.), საფუძვრებულია მხოლოდ XI ს. გასულისათვის].

² Fr. Halikn, *Analecta Bollandiana*, t. LXXI, Fasc. IV, 1953, განსაკუთრებით Lang D. M., *Bulletin of the School of Oriental and African Studies University of London*, 1955, Vol. XVII, part. 2.

³ Dölger -ის სიით ასეთია 8 ხელნაწერი, ერთი XIII ს., ერთი XIV, სამი—XV, ერთი XVI, ორი XVIII-ისა. დამასკელის გარდა ხელნაწერთა სათაურში სამი იოანე გვხვდება იოანე საბაწმიდელი, რომელსაც ბალაეარიანთან აკავშირებს 61 ხელნაწერი, აქედან ორი თითქოს X საუკუნისაა, თერთმეტი XI-ისა; იოანე სინელი, მას იცნობს ათი ხელნაწერი, ამთვან ერთი ეკუთვნის XV ს., ერთი XVIII ს., დანარჩენი XVI-ს; იოანე ტაბენოსიონელი, ის მოხსენებულია ერთ ხელნაწერში XI ს. უნდა ვიფიქროთ, რომ სამივე ეს იოანე გამოშვებულია იმ ტრადიციისა, რომელიც რომანის ავტორად იოანე დამასკელს თვლიდა, მით უმეტეს, რომ იოანე დამასკელი ძველ ლიტერატურულ ძეგლებში ძალიან ხშირად იხსენიება როგორც „მონაზონი“ და „საბაწმიდელი“.

V

ურთიერთობა ბერძნულ რომანსა და ქართულ B რედაქციას შორის

ზემონათქვაში ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მოკლებული ვართ ყოველგვარ საშუალებას, ბერძნული რომანის წარმოშობის გასარკვევად. კიდევ დაგვრჩენია ერთი გზა ამ ლაბირინტიდან გამოსასვლელად. ეს არის ქართული ბალავარიანის B რედაქცია და ბერძნულთან მისი ურთიერთობის გამოვლინება.

როდესაც ჩვენ ვიწყებთ ლაპარაკს ქართული B რედაქციისა და ბერძნული რომანის შესახებ, პირველ ყოვლისა უნდა ვიკითხოთ: ხომ არაა რაიმე ნიშანი იმისა, რომ ქართული B რედაქცია ბერძნულზეა დამოკიდებული? ასეთი საკითხის დასმის უფლებას გვაძლევს ჩვენ ერთ-ერთი (XI ს.) აღრიხნული სია ექვთიმე ათონელის შრომებისა, სადაც აღნიშნულია, რომ ექვთიმემ ბერძნულიდან ბალავარიანიც თარგმნაო¹. ეს უბრალო გაუგებრობაა. არავითარი საფუძველი ასეთ მოსაზრებას არ გააჩნია.

ჯერ ერთი, ბერძნული რედაქცია ჩნდება, როგორც ეს ცნობილია მეცნიერებაში, მეთერთმეტე საუკუნის დამდეგიდან, B რედაქცია კი ბალავარიანისა, როგორც ლაპარაკი გვქონდა, დამუშავებულია მეცხრე-მეათე საუკუნეთა მიჯნაზე. მეორე, ქართული ტექსტი არ შეიცავს სპეციფიკურს, წარმოშობის თვალსაზრისით, დამახასიათებელ ბერძნობებს. მესამე, ზემოთ, ამ ნარკვევის მეოთხე თავში ჩვენ ამომწურავად ვაჩვენეთ განსხვავებანი ბერძნული რედაქციისა ქართული A რედაქციისაგან. ეს განმასხვავებელი ადგილები A-ში გადმოღებულია. უმეტეს ნაწილად, B რედაქციიდან, მაშასადამე ისინი ანსხვავებენ ბერძნულისაგან ამ უკანასკნელსაც და გამორიცხავენ მის წარმოშობას ბერძნული რომანიდან. ამავე დროს ბერძნული რედაქცია რომანისა ამჟღავნებს ისეთ სიახლოვეს ქართულ B რედაქციასთან, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია მისი წარმოშობის საკითხისათვის.

მართლაც, დიდი ნაწილი შინაარსობლივი არაბიზმებისა, რომელიც დამახასიათებელია ქართული B რედაქციისათვის, მოცემულია ბერძნულშიც, მეორე მხრით, ის, ბერძნული, ზედმიწევნით იმეორებს ქართული რედაქციის ბოლო ნაწილს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, სცილდება არაბულს (ამ შემთხვევაში ერთი უმნიშვნელო განსხვავებაა: ქართულით მამა-შვილს შორის სამ წერილს აქვს ადგილი, ბერძნულში კი ერთს). დასასრულ, საკუთარი სახელები ბერძნულისა ამოღებულია ქართულიდან. ასე მაგალითად, ნაქორი (ბიბლიურია), რომელიც არაბულში სულ არ იხსენიება, ისევეა წარმოდგენილი, როგორც ქართულში; არაბულში მის როლს რაქისი ასრულებს². ვარაზია არის ქართული ბარაქია, რომელიც არაბულში სულ არ ჩანს. ბერძნული ავენირ უფრო ახლოა ქართულ აბენეს-აბენესე-ჰებენასთან (131 B, 145B), მას არაფერი საერთო არ აქვს არაბულ

¹ ეს ცნობა მოთავსებულია ექვთიმეს შრომათა იმ სიაში, რომელიც მის შამას, იოანეს, შეუდგენია, და იკითხება გელათის ბელნაწერში № 20; იმას ყურადღება მივაქციეთ 1912 წელს, როდესაც გელათის ბელნაწერთა აღწერილობას ვადგენდით, მას შემდეგ ის მეცნიერებაში შევიდა.

² ამ შემთხვევაში ჩვენ მივმართეთ არაბულ რედაქციას იმიტომ, რომ, თანახმად ერთი მოგვიანო დროის ბერძნული ბელნაწერისა (XVI ს., ათონ. 79), ბერძნული რომანი თითქმის არაბულოდანაა ნათარგმნი. ამასთან ხომ არაა დაკავშირებული აქად. ი. კ რ ა ზ ი კ ი ე ს ს ი ტ ყ ვ ე ბ ი: არაბული ეერსიის საფუძველზე წარმოიშვა პალესტინაში ბერძნული ეერსია რომანისათვის (Πλατων ο Βαραζιας ο Παλαστინος, გვ. 9-10).

ქანისართან. ბერძნულის თევედა არის ქართული თედმა, არაბულში მას უდრის ალ-ბაჰვან, არაბია—ქართული რაჰის. ბერძნული ზარდან არის ქართული ზანდან, არაბულში ეს სახელი სულ არაა. ბერძნული „ეარლაამი“ და „იოასაფი“ უფრო ახლოა ქართულ ბალაეარ-იოდასაფთან, ვიდრე არაბული ბალაუჰარ და ბუდასფი.

რა დასკვნა უნდა გავიკეთოთ აქედან? ის, რომ ბერძნულ რედაქციას საფუძვლად დადებია ქართული რედაქცია. ასეთ დასკვნას ჩვენ სხვა გზითაც ვღებულობთ. მართლაც, ბერძნულ ხელნაწერთა ის ტრადიცია, რომლითაც ბერძნული რომანი გადმოთარგმნილია ქართულიდან ექვთიმე ათონელის მიერ, არ შეიძლება საფუძველს მოკლებული იყოს, ასეთ რამეს ვერ მოიგონებდნენ ბერძნები, ისიც მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ქართულ-ბერძნული ურთიერთობანი ათონზე მეტად გამწვავებული იყო. ამასთან ერთად, უფრო დიდი მნიშვნელობისაა გიორგი ათონელის მოწმობა, რომ ექვთიმემ ქართულიდან გადმოთარგმნა ბალაეარიანიო. გიორგი არ იყო ისეთი მწერალი, რომელიც იგონებს ფაქტებს და წყაროებს გაურბის. ის, ეკვი არაა, ძალიან კარგად იცნობდა „ბალაეარისა და იოასაფის ისტორიას“, იმას დაუწერია ლიტურგიკული ჰიმნები ამ წმიდანებისა (H 1710), რომელშიაც გამოყენებულია ის მასალა. რაც რომანშია მოცემული მისი ქართული რედაქციით. ამ შეხედულების მომხრენი ფიქრობდნენ, რომ ექვთიმემ თარგმნა ბერძნულად ამდებანს ცნობილი მოკლე (A) რედაქცია, მაგრამ, ვინაიდან ეს, როგორც ლაინახეთ, არ მართლდება, აუცილებელივ უნდა დავასკვნათ, რომ ექვთიმემ ბერძნულად თარგმნა ვრცელი, ახლად აღმოჩენილი (B) რედაქცია. შეიძლება გვკითხოთ: თუკი არსებობდა არაბულ-ქრისტიანული რედაქცია რომანისა, რატომ უნდა მიემართა ბერძენ ავტორს ექვთიმეს თარგმანისათვის, მას შეეძლო გამოეყენებია უშუალოდ არაბულ-ქრისტიანული ტექსტი, განა ცოტაა ბერძნულ ენაზე ისეთი ნაწარმოებები, რომელნიც არაბული ენიდან არიან უშუალოდ ნათარგმნი, თუ გადმოკეთებულნი? ამ შეკითხვას ჩვენ კონტრშეკითხვით ვუპასუხებთ: არსებობდა კი იმ დროს, როდესაც ბერძნული რომანი იწერებოდა, ეს არაბულ-ქრისტიანული რედაქცია რომანისა? იქნება მეცხრე საუკუნის მიწურულიდან, როდესაც ქართული თარგმანი დამზადდა, მეთერთმეტემდე, როდესაც ბერძნული ჩამოყალიბდა. ის დაიკარგა, მოისპო და მხოლოდ ქართულ თარგმანში გადაჩა? იქნება არც დაიკარგა, მაგრამ, იერუსალიმის თუ სხვა რომელიმე აღმოსავლეთის მონასტერში მიგდებული, ის ათონისა და კონსტანტინოპოლის ლიტერატურული სფეროებისათვის უცნობი იყო! ერთი სიტყვით, ასეთი შეკითხვით ქართული ტექსტის როლი ბერძნული რომანის წარმოშობის საქმეში ვერ მოიხსნება და ვერ გაბათილდება.

ბერძნული რედაქცია არ წარმოადგენს ქართულის სიტყვა-სიტყვით თარგმანს. ეს არის ნამდვილი მეტაფრასული, გადაკეთებულ-გადაუმუშავებული. რედაქცია, მეტაფრასული აგიოგრაფიის ყველა დამახასიათებელი ნიშნით. აკი ავტორი მისი თვითონ აცხადებს, რომ მისი შრომა არის „პირველწყაროების ჩანაწერთა მეტაფრასიოჲნი“ (პირველწყაროების ჩანაწერთა მეტაფრასიოჲნი, 10 მ. წმ. ცმ. 861). ქართული ტექსტი მას გადაუყვებია საკუთარი მიზნების შესაბამისად, ის მას გადაუმუშავებია საფუძვლიანად, ისეთი წყაროების გამოყენებით, როგორიცაა არისტიდეს ცნობილი აპოლოგია, ეკატერინეს მეტაფრასული მარტილობა და სხვა მრავალი. რომელნიც დღეს მეცნიერებაში ცნობილნი არიან. მეტაფრასული აგიოგრაფიის მეთო-

დით აიხსნება ის განსხვავებანი, რომელთაც ადგილი აქვთ ქართულსა და ბერძნულ რედაქციათა შორის.

როგორ, რა პირობებში მოხდა გამოყენება ქართული რომანისა ბერძნულ ენაზე? ცნობილია, თუ რა ავტორიტეტით სარგებლობდნენ ქართველები ათონზე ექვთიმესა და მისი მამის სიცოცხლეში. ამ ავტორიტეტის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ათანასე ათონელის გარდაცვალების შემდეგ (1001 წ.), თანახმად მისი ანდერძისა, ექვთიმე დადგენილ იქნა ეპიტროპად, შტრუნველად მისი ლავრისა, და არა მარტო ამ ლავრის „განგებამ“, არამედ „მთაწმიდელთა უფრომსნი საურაენი მის მიერ იურვებოდეს“ (ათონის კრებული, გვ. 30). დიდად იყო ის მიღებული და დაფასებული კონსტანტინოპოლში, სადაც ის ლიტერატურულ მუშაობასაც კი ეწეოდა. გაჩნდა თუ არა ათონისა და კონსტანტინოპოლის სალიტერატურო წრეებში ისეთი საინტერესო და „სულთა მარგებელი“ თხზულება, როგორიცაა „ბალავარიანი“. მას ქართველების მეშეუობით გაეცნენ ბერძნები, და არც შეიძლებოდა არ გასცნობოდნენ, რადგანაც ბერძნები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს ქართველების ლიტერატურულ საქმიანობას, იქამდის, რომ თუ ამ საქმიანობაში რამეს ისეთს დაინახავდნენ, რაც, ბერძნული თვალსაზრისით, ნორმიდან გადახვევას წარმოადგენდა, ეფრემ მცირის ცნობით, „აყუდრიდენ“ კიდევაც მათ. ეს ის დრო იყო, როდესაც ბიზანტიაში, ცნობილი სვიმეონ მეტაფრასტის მეთაურობით, მტკიცდებოდა ახალი, მეტაფრასული მიმართულება აგიოგრაფიაში (982 წლიდან). ხასიათი და ბუნება ამ მიმართულებისა დღეს უკვე გარკვეულია მეცნიერებაში, უმთავრესად ჩვენ მიერ გამოქვეყნებული სამი ქართული დოკუმენტის მიხედვით, რომელნიც ეკუთვნიან ეფრემ მცირეს, თეოფილე ხუცესმონაზონსა და იოანე ქსიფილინოსს¹. მეტაფრასული აგიოგრაფიის წარმომადგენლები სარგებლობდნენ ძველი მატრიანეებით, სხვადასხვა ხასიათის „მოსაქსენებლებით“, უბრალოდ და ლიტონად დაწერილი აგიოგრაფიული ძეგლებით, რომელთაც „კიმენი“ ეწოდებოდა, აგრეთვე სახელმწიფო-სააღმსახურო მასალებით. თავისთავად გასაგებია, რომ როდესაც ახალი, მეტაფრასული მიმართულების წარმომადგენლებმა გაიცნეს ათონზე და კონსტანტინოპოლში ეს რომანი, მათ დაებადათ სურვილი ხელმისაწვდომი გაეხადათ ის ბერძენ-მკითხველი მასისათვის; ვის მიმართავენ ისინი თხოვნით ეკისრა ასეთი შრომა თუ არა ექვთიმე ათონელს, რომელიც ცნობილი იყო მათ შორის როგორც გამოჩენილი მთარგმნელი ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად? და აი, ექვთიმემ შეასრულა ეს საქმე, მან „მთარგმნა ქართულისაგან ბერძნულად ბალავარი“, მთარგმნა მისი B რედაქცია (A რედაქცია, როგორც დავინახეთ, ამ შემთხვევაში არაა ყურადღებაში მისაღები); ეს მთარგმანი იქნა გამოყენებული ერთ-ერთი მეტაფრასტის მიერ.

ჩვენ არ ვიცით დაბეჭდვით, ვინ იყო ინიციატორი ამ წამოწყებისა და ავტორი ბერძნული მეტაფრასისა. მაგრამ სიმართლესთან ახლო ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს იყო თვით მამამთავარი მეტაფრასული მიმართულებისა აგიოგრაფიაში, სვიმეონ ლოგოთეტი ან მეტაფრასტი, თანამედროვე ექვთიმე ათონელისა (X—XI ს.). ამას ჩვენ გვაფიქრებინებს ხასიათი სვიმეონის მუშაობისა და ის ურთიერთობა, რომელიც უნდა არსებულიყო ექვთიმესა და სვიმე-

¹ ეს დოკუმენტი იხ. ჩვენს შრომებში: 1. Симоон Метафраст по грузинским источникам (Труды Киев. Духов. Академии, 1910, февраль); 2. Иоанн Ксифилин, продолжатель Симеона Метафраста („Христ. Восток“, т. II, вып. 2); 3. ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია (თბილ. უნივერ. „შრომები“, ტ. XXX ბ).

ონს შორის. სვიმეონი თავისი მეტაფრასების წერისას, როგორც დამოწმებულია ზემოდასახელებულს სამ ქართულ დოკუმენტში, ეძებდა ხოლმე სხვადასხვა საარქივო მასალას და ჩანაწერს, მას იტაცებდნენ ძველნი თხრობანი და თხზულებანი, უფრო კი ისეთი „კიმენური“ მასალა, როგორიცაა ქართული რედაქცია „ბალავარიანისა“. ექვთიმე, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მისი დროის ბერძენთა შორის, ის მიღებული იყო იმპერატორისა და პატრიარქის კარზეც კი, მას ძალიან ხშირად უხდებოდა ათონიდან კონსტანტინოპოლში ჩასვლა და შუამდგომლობა საერო და სასულიერო ზღლისუფლების წინაშე არა მარტო თავისი საკუთარი, არამედ ბერძნულ მონასტერთა საერთო-საადმინისტრაციო და სამეურნეო-საფინანსო საქმეების გამო. სვიმეონი, როგორც ლოგოთეტი საერთო საქმეებისა, იყო მინისტრი სახელმწიფო ფინანსებისა; უფრო მეტი იქნებოდა სფერო მისი მოქმედებისა და ფუნქციები, თუ ის იყო დრომის ლოგოთეტი¹. კონსტანტინოპოლში სამსახურებრივი საქმეების გამო ჩამოსული ექვთიმე პირველ რიგში სვიმეონს უნდა შეხედროდა. განა წარმოსადგენია, რომ ასეთ პირობებში სვიმეონს არ სცნობებოდა ექვთიმე? ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათ შორის ადგილი ჰქონდა არა უბრალო ნაცნობობას, არამედ მეგობრობასაც კი. მათ აერთებდა ლიტერატურული ინტერესები, ამით აიხსნება, რომ სვიმეონ ლოგოთეტის მეტაფრასებიდან ექვთიმეს, ავტორის სიცოცხლეშივე, უთარგმნია რვა ნაწარმოები². ამიტომ სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ სწორედ სვიმეონის თხოვნით ექვთიმემ თარგმნა ბერძნულ ენაზე ქართული „ბალავარიანის“ B რედაქცია, რომელიც გახდა მთავარი წყარო სვიმეონის მეტაფრასული შრომისა.

ასე გვესახება ჩვენ ბუნება და წარმოშობა ბერძნული „ბალავარიანისა“, რომელიც თავს იჩენს მეთერთმეტე საუკუნის დამდეგიდან.

ამ რომანის ბერძნულ ენაზე ჩამოყალიბებამდე ვარლაამისა და იოასათის ხსენებას ბერძნულ კალენდრებში ადგილი არ ჰქონდა. როდესაც დაიწერა მათი ისტორია, გაჩნდა მათი საეკლესიო ხსენებაც. ბერძნებს ვარლაამისა და იოასათის ხსენება, როგორც ინდოეთის განმანათლებლებისა, დაუდევიათ 19 ნოემბერს, ქართულ ეკლესიაში ის დადებული ყოფილა 19 მაისს (ყოველ შემთხვევაში იხ. XI საუკუნის ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა H 1710); ბერძნებს ეს ხსენება დაუდევიათ წლის მესამე თვეში, ისე, როგორც ქართველებსაც. მაგრამ არა მარტის წლისა (ქართულად მესამე თვე მარტის წელიწადში არის მაისი), არამედ სექტემბრისა³. ეს არ უნდა მომხდარიყოს უპიზეზოდ. ცნობილია, რომ სვიმეონმა გადაამეტაფრასა ხუთი თვის (სექტემბრიდან იანვრამდე) საკითხავები, მაშასადამე, ნოემბრისაც. მისი მეტაფრაზული შრომა, რომელიც, თანახმად ქართული პრაქტიკისა, მესამე თვეში უნდა დადებულიყო. შეუტანიათ მესამე თვის (სექტემბრის წლით), ნოემბრის, საკითხავებში. მაშასადამე, აქაც, ამ ხაზითაც ჩვენ საბუთი გვაქვს მეტაფრასული რედაქცია ბერძნული „ბალავარიანისა“ სვიმეონ მეტაფრასტის კუთვნილებად ვიცნოთ.

¹ Проф. Н. С каба л а н о в и ч, Византийское государство и церковь в XI в., გვ. 176—177.

² ბეკელიძე ბ., ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, გვ. 183—184.

³ იხ. ამის შესახებ ელ. მეტრეველი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიისათვის XI საუკუნეში (თბილისი, პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. IX, გვ. 203), სადაც მოყვანილია ეს ჩვენი აზრი.

მართალია, ასეთი შრომა სვიმეონის მეტაფრასებს შორის არ ჩანს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მისი მეტაფრასული აგიოგრაფიული მემკვიდრეობა ჯერჯერობით მეცნიერებაში მთლიანად გარკვეული არაა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მმართველობით მეჩვიდმეტე საუკუნიდან წარმოებს ინტენსიური მუშაობა, რომელიც მნიშვნელოვნად წასწია წინ იმ სამმა ქართულმა დოკუმენტმა, რომელთა შესახებ ზემოთ ვლაპარაკობდით.

* * *

ახლა შევაჯამოთ ყველაფერი რაც ითქვა:

მართალია, ჩვენთვის დაკარგულია ზოგიერთი რგოლი „ბალავარიანის“ ლიტერატურული ისტორიისა (ფალაური, სირიული და არაბულ-ქრისტიანული მისი რედაქციები), მაგრამ, საქმის რეალური ვითარებისა და ისტორიულ-ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, შემდეგი დასკვნები შეგვიძლია გავაკეთოთ:

1. ინდოეთის ნესტორიანულ ეკლესიაში მეშვიდე საუკუნის ნახევარში, გარკვეული მიზეზების გამო, თავი იჩინა მძლავრმა სეპარატისტულმა მოძრაობამ, რომელიც მიზნად ისახავდა სელევკია-კტეზიფონის ნესტორიანული საკათოლიკოზოდან გამოყოფას. ამ მიზნის მისაღწევად პირველ რიგში უნდა გაბათილებულიყო ის ლეგენდური აქტები, რომელთა მიხედვით ინდოეთში ქრისტიანობა დაამყარა სირიელების განმანათლებელმა თომა მოციქულმა. ეს საქმე უკისრია ბუდას ფალაური „ცხოვრების“ ნიადაგზე სირიულად დაწერილ „ბალავარიანს“, რომლის ტენდენციაა დამტკიცოს, რომ ინდოეთის განმანათლებელი არა თომა მოციქული, არამედ ვარლამი და იოასაფი.

2. ეს პირველი, სირიულად დაწერილი ქრისტიანულ-ნესტორიანული რედაქცია „ბალავარიანისა“ მას შემდეგ, რაც მან თავისი დანიშნულება შეასრულა, დაეიწყებას მიცემია თუ მთლიანად დაკარგულა. ასე რომ არ შეიძლება დაბეჭდვით ვთქვათ, ჰქონდა თუ არა მას დღეს ცნობილი ქრისტიანული რედაქციების წარმოშობის საქმეში არსებითი მნიშვნელობა.

3. მეცნიერების განკარგულებაშია დღეს არაქრისტიანული არაბული რედაქცია რომანისა და ორი ქრისტიანული: ქართული და ბერძნული. „ბალავარიანის“ ლიტერატურული ისტორიის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ამ რედაქციების დეტალური და არა ზერელე შედარების გზით.

4. ქართულ ენაზე შენახულა ორი რედაქცია ამ რომანისა: A (თბილისში გამოცემული) და B (ახლად აღმოჩენილი, იერუსალიმური), გადაწერილი არა უგვიანეს XI საუკუნის ნახევრისა. A დაწერილია არა უადრეს X საუკუნის მიწურულისა, B კი მეცხრე-მეათე საუკუნეთა მიჯნაზე.

5. B რედაქცია მომდინარეობს არაბულ-ქრისტიანული რედაქციიდან, რომელიც შედგენილი ჩანს ფალაურიდან მომდინარე არაქრისტიანული არაბული რედაქციის ნიადაგზე¹.

6. A რედაქცია წარმოადგენს B რედაქციის შემოკლებასა და გადამუშავებას „პატერიკული“ ენარის ლიტერატურის შესაბამისად.

7. ბერძნული რედაქცია არაა დაწერილი იოანე დამასკელის მიერ. არცთუ ექვთიმე ათონელის კალამს ეკუთვნის იგი.

¹ შესაძლოა დავუშვათ, რომ რომანის ბოლო ნაწილში გამოყენებული იყო ამასთანავე დღეს დაკარგული სირიული რედაქცია, რომლის კვალი თავს იჩენს, აგრეთვე, ქართულ რედაქციაში გადარჩენილი ტენდენციით, რომ ინდოეთის ქრისტიანული ეკლესია დაწერულია არა თომა მოციქულის, არამედ ბალავარისა და იოასაფის მიერ (ამის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 148).

8. უტყუარი ფაქტია, რომ ექვთიმე ათონელმა ქართულიდან ბერძნულად თარგმნა „ბალავარიანი“, მაგრამ მას უთარგმნია არა A რედაქცია ქართული რომანისა, არამედ B. ასე უნდა გვესმოდეს ქართულ-ბერძნულს თუ სხვა წყაროებში შენახული ცნობა ბერძნული რედაქციის ქართულიდან მომდინარეობის შესახებ ექვთიმე ათონელის მეშვეობით.

9. ბერძნული რედაქცია არის ე. წ. მეტაფრასული რედაქცია. ის შედგენილია ექვთიმეს მიერ შესრულებული თარგმანის ნიადაგზე, სხვა წყაროების გამოყენებითაც.

10. ამ მეტაფრასული რედაქციის ავტორი უნდა იყოს თვით სვიმეონ მეტაფრასტი, თანამედროვე ექვთიმე ათონელისა.

ყველაფერი ეს შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

